№ 50 მთავრობის ორგანო

# საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

ფასი 2 მან. ოთხშაბათი, 3 მარტი 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი (ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთის ფასი 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე-4 გვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 30 მ. 1 იანვრ. გაზ. ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონის 1—82.

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

ოთხშაბათს, მარტის 3, მგოსნის გალ. ტაბიძის პოეზიის საღამო. 1. ი. გომართელის მოხსენება მგოს. გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაზე **ალექო.** მონაწილეობენ: ალეშკო, სარაჯიშვილი, დროზდოპოლიაევი. 3. ბალეტი, კავალერიის ბანაკი. ხუთშაბათს, მარტის 4, ნინო კოშიცის მონაწილეობით „ფაუსტი და ვალპურგის ღამე“. პარასკევს მარტის 5, „ქეთო და კოტე“. შაბათს, მარტის 6, ოპერა მუშებისათვის „იოლანტა და ბალეტი“. კვირას, მარტის 7, დილით „ევგენი ონეგინი“. საღამოს ა. დუმბაძის ბენეფისი 1. „კარმენ“, 2. „ბორის გოდუნოვი“. მზადდება დასადგმელად ოპერა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“

ოფიციალური განყოფილება

## დეკრეტი

**მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაწესებულებათა თანამდებობის პირთა ჯამაგირის ახალი ნორმებისა.**

1. დამტკიცებულ იქნეს მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაწესებულებათა თანამდებობის პირთა ჯამაგირის ახალი ნორმები 1919 წ. ნოემბრის 1-დან თანახმად ამ დეკრეტთან დართული შტატისა.

**შენიშვნა:** ამ დეკრეტით აღნიშნულ ჯამაგირებზე არ იქნეს გავრცელებული 1919 წ. მაისის 20-ს, აგვისტოს 2-ს და დეკემბრის 2-ს დეკრეტის მოქმედება.

2. პირველ მუხლში აღნიშნული საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან მიწათ-მოქმედების სამინისტროს 1919—1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში 1919 წ. ნოემბრის 1-დან 1920 წლ. ივნისის 1-მდე ყოველთვიურად ოთხი მილიონი ას ოცდაცხრა ათას ოთხას ოთხმოცდა ხუთმეტი (4.129.495) მან., ხოლო შვიდ თვეში ოცდარვა მილიონი ცხრაასექვსი ათას ოთხას სამოცდა ხუთი (28.906.465) მან.

3. ამ დეკრეტში აღნიშნულ ჯამაგირებზე გავრცელებულ იქნეს ამა 1920 წლ. თებერვლის 4-ს დეკრეტით დაწესებული მომატება.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1920 წლის თებერვლის 20-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

## მიწათ-მოქმედების სამინისტროს შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა.

**1919—1920 საბიუჯეტო წლის 1 ნოემბრიდან.**

| გასავალი. მუხ. | § | ხარჯის დანიშნულება. | ნავარაუდევი 1919—1920 წლ. | გამოითხოვება წლიურად. | ნავარაუდევია ნოემბრის 1 დან 1919 წ.ლ. (7 თვის). | აღრიცხვის საფუძველი. |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | მ ა ნ ე თ ი. | | | |
| 3 | — | მინისტრის საბჭო . . . . | 117000 | 270000 | 157500 | ხილული დან. № 1 |
| 2 | | სამინისტროს კანცელარია. | | | | |
| | 1 | პირადი შედგენილობა . . | 344400 | 1422000 | 829500 | „ „ № 1 |
| 4 | | სასახლის შენახვა. | | | | |
| | 1 | პირადი შედგენილობა . . | 429000 | 1331100 | 776475 | „ „ № 2 |
| 5 | | სახაზინო მეურნ. და სახელმწიფო ქონების განყოფილება. | | | | |
| | 1 | პირადი შედგენილობა . . | 6751249 | 8166012 | 4763507 | „ „ № 3 |
| 6,7,8 | | სატყეო განყოფილება. | | | | |
| | 1 | პირადი შედგენილობა . . | 704100 | 2553600 | 1489600 | „ „ № 4 |
| 12 | | საცდელო განყოფილება. | | | | |
| | 1 | პირადი შედგენილობა . . | 5556100 | 22237500 | 12971875 | „ „ № 5 |
| 26 | | წყალთა განყოფილება. | | | | |
| | 1 | პირადი შედგენილობა . . | 340200 | 1305960 | 761810 | „ „ № 6 |
| 27 | | შინამრეწველობის განყოფილება. | | | | |
| | 1 | პირადი შედგენილობა . . | 368940 | 1174020 | 684845 | „ „ № 7 |
| 28 | | სამიჯნაო განყოფილება | | | | |
| | 1 | პირადი შედგენილობა . . | 1991400 | 6146100 | 3585225 | „ „ № 8 |
| 29/30 | | სააგრარო რეფორმათა განყოფილება. | | | | |
| | 1 | პირადი შედგენილობა . . | 1120200 | 3276600 | 1911350 | „ „ № 9,10 |
| 31 | | ცენტრალი სტატისტიკური კომიტ. | | | | |
| | 1 | პირადი შედგენილობა . . | 492000 | 1671048 | 974778 | „ „ № 11 |
| | | სულ . . | 18214589 | 49553940 | 28906465 | |

ოცდა რვა მილიონი ცხრაას ექვსი ათას ოთხას სამოცდა ხუთი მანეთი.

1919 წ. დეკემბრის 16-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

არა ოფიციალური განყოფილება

## შრომის სამინისტროში.

შრომის სამინისტრომ შემდეგი ცირკულიარით მიმართა კომიტეტებს, რწმუნებულებს, მუშათა ორგანიზაციებს და სამუშაოს მიმცემთ.

შრომის სამინისტრო ამით განმარტავს, რომ იმ მუშებისთვის სალიკვიდაციო ჯილდოს რაოდენობის გამოსარკვევათ, რომელნიც ნარდით მუშაობენ, უნდა იქნეს მიღებული შემდეგი: იმ მუშა მოსამსახურეებს, რომლებიც ნარდით მუშაობენ მიეცემათ სალიკვიდაციო ჯილდო იმის მიხედვით, თუ რა საშუალო ხელფასი არსებობს ნარდით მომუშავეთათვის შრომის ხელშეკრულების დარღვევის დროს. საშუალო ხელფასი კი გამოირკვევა სამი წინა თვის ხელფასის რაოდენობიდან და ნაკლებიდან იმ შემთხვევაში, თუ შრომის ხელშეკრულება გაგრძელდა 3 თვეზე ნაკლები.

შრომის მინისტრის ამხანაგი ა. ხახტაძე.

## იუსტიციის სამინისტროში.

ტფილისის სასამართლოს პალატის პროკურორმა ცირკულიარით მიმართა ყველა პროკურორებს, რომ, რადგანაც ტუსაღების თხოვნები, მიმართული მთავრობის თავმჯდომარის, ან იუსტიციის მინისტრის, ან სენატის სახელობაზე იგზავნება პროკურორების მიერ ხშირად ყოველივე ცნობების დაურთველად და ამის გამო მეტისმეტად ფერხდება მათი კანონიერი მსვლელობა, ამიტომ ამიერიდან ყოველს ასეთს შემთხვევაში პროკურორებმა თან დაურთონ ტუსაღების თხოვნებს ყველა ცნობები, რომელიც მოიპოვება მთხოვნელის შესახებ პროკურორის ან ციხის კანცელარიაში.

## მიწათ-მოქმ. სამინისტროში.

**ნათეს ადგილების გაფართოება.**

მიწათ-მოქმედების სამინისტრო მთავრობის წინაშე შუამდგომლობს, რათა 8.138.025 მან. გადაიდოს სახელმწიფო მამულებში დათესილ ადგილების გასაფართოებლად.

**მელვინეობის სადგური.**

მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადაწყვეტილი აქვს საქარის სახელმწიფო სანერგეში მოაწყოს მევინეობის სადგური.

**ბოსტნეულ სათესლის შეძენა.**

მიწათ-მოქმედების სამინისტროს სახელმწიფო მამულების განყოფილება 62.400 მან. ბოსტნეულ-სათესლეს იძენს სახელმწიფო მამულებისა და დაწესებულებათათვის.

## სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის მიმართვა ო. უორდროპისადმი.

ბათუმიდან გვწერენ: ამ დღეებში სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის თავმჯდომარე მამედ აბაშიძემ შემდეგი მემორანდუმით მიმართა ოლივერ უორდროპს:

„მათ მაღალ აღმატებულებას, კავკასიაში მყოფ ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს მისტერ ოლივერ უორდროპს.

თქვენო მაღალ აღმატებულებავ! გასული წლის 31 აგვისტოს ბათუმის ოლქის მკვიდრმა მცხოვრებლებმა, მოიხმიეს ყრილობა, რაც ბათუმში მყოფ დიდ ბრიტანეთის მთავარ სარდლობამ იცოდა. ყრილობა მოწვეული იყო სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის თაოსნობით.

ყრილობამ კატეგორიული დადგენილება გამოიტანა და მოითხოვდა ბათუმის და მისი ოლქის შეერთებას საქართველოს რესპუბლიკასთან ავტონომიურათ.

ამ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლათ, ყრილობამ აირჩია მეჯლისი, რომელიც ფართო უფლებებით იყო აღჭურვილი—ყოფილიყო წარმომადგენელი სამუსლიმანო საქართველოს სახელით, როგორც კავკასიაში მყოფ ანტანტის წარმომადგენლებთან, აგრეთვე ევროპის დიპლომატიურ წრეებთან და საზავო კონფერენციის წინაშე. მეჯლისმა აირჩია დელეგაცია, რომელიც წარუდგა საქართველოს მთავრობას. დელეგაციას ჰქონდა პატივი წარსდგომოდა თქვენ აღმატებულებას და თქვენისშუაბით ეთხოვა დიდ ბრიტანეთისთვის, რათა უკანასკნელს დაეჩქარებინა ბათუმის და მისი ოლქის ბედი და ამ საკითხის გარჩევის დროს მხედველობაში მიეღო 31 აგვისტოს დადგენილება, რომელიც ხალხის ნებისყოფის გამომხატველი არის.

თქვენო აღმატებულებავ, თქვენის სამართლიანის მოპყრობით საქართველოს ხალხის სურვილებისადმი და საქართველოს შესახებ სწორმა ინფორმაციამ მისცა ქართველ ხალხს ის, რომ საზავო კონფერენციამ იცნო საქართველოს ხალხის ისტორიული ლტოლვილება და აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. საქართ. რესპ. დამოუკიდებლობის აღიარებამ გაგვიღვივა იმედი, რომ ბათუმის და მისი ოლქის საკითხიც ასევე გადაწყდებოდა, მაგრამ, სამწუხაროთ, ეს საკითხი ჯერ არ არის გადაწყვეტილი და ის კვლავ ჰაერში არის გამოკიდებული, რაც უფრო ართულებს და ხელს უწყობს ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისებს. ეკონომიური არევ-დარევა, ზღაპრული სიძვირე მძიმე უღელს ადგამს მცხოვრებთ და ხელს უწყობს საზოგადოებრივ მყუდროების დარღვევას. დამახასიათებელია ის, რომ საქონელი, რომელიც შემოდის ბათუმით, უფრო ნაკლებათ ფასობს საქართველოს ქალაქებში, ვიდრე ბათუმში. ამასთანავე ის გამოურკვეველი მდგომარეობა, რომელიც სუფევს ბათუმში, ხელს უწყობს ავანტიურისტებს დეზორგანიზაცია შეიტანონ ხალხში. ხალხი, რომელიც არ არის დაკავშირებული მკვიდრ მცხოვრებლებთან არც ისტორიულათ და არც ეკონომიურათ ხალხი, რომელიც გამოქცევია ოსმალეთიდან ანტანტის მართლმსაჯულებას სხვა და სხვა ბნელი პირები და სპეკულიანტები გამოდიან „ბათუმის ოლქის შეერთებულ ყველა მუსულმანთა ნაციონალური საბჭოს სახელით“, იმ დროს, როდესაც ბათუმის ოლქში მოსახლეობს მხოლოდ ქართველი მუსულმანობა და მხოლოდ ქალ. ბათუმში და მის მიდამოებში გაბნეული არიან სხვა ერები. მათ მიემხრენ რუსის რეაქციონერები, რომლებიც ბოლშევიკებს გამოექცნენ ყველა ამათ შეკავშირებას ცდილობენ ბოლშევიზმის აგენტები. რომელთაც სურთ მომენტით ისარგებლონ.

საეჭვოთ ხდება ანარქისტული ჯგუფების კრებები, ემზადებიან სამოქმედოთ.

ეი ეს ხალხი, ეს ჯგუფები, გზავნის პროტესტებს, რათა ბათუმის ოლქი არ შეუერთდეს საქართველოს რესპუბლიკას.

მეჯლისი, რომელიც არის ხალხის ნებისყოფის გამომხატველი, იმედოვნებს, რომ ანტანტის დიპლომატიური წარმომადგენლები, არავითარ ყურადღებას არ მიაქცევენ ზემო ხსენებულ პირთა ზრახვებს და ბათუმის და მისი ოლქის საკითხის გადაწყვეტის დროს მხედველობაში მიიღებენ მკვიდრ მცხოვრებთა ინტერესებს; რადგანაც ამ ქმედ ასე გართულდა საქმე, ამ ოლქის მცხოვრებთა სახელით, უმორჩილესათ თხოვნით მოგმართავთ თქვენო მაღალ აღმატებულებავ, გადასდგათ საჭირო ნაბიჯები, რომ საჩქაროდ გადასწყდეს ბათუმის ოლქის საკითხი და ამათ შეძლება მისცეთ ექვსი წლის ომით მოქანცულ ხალხს თავისუფლათ ამოისუნთქოს თავის დიდი სამშობლო, საქართველოს წიაღში.

ამას მოითხოვს როგორც ხალხის ნების ყოფა, აგრეთვე ამ მხარის საარსებო ინტერესები.

მეჯლისის თავმჯდომარე მამედ აბაშიძე.

## საქართ. და ადერ. წარმომად. უმაღლეს საბჭოში.

გაზეთ „ტანში“ შემდეგი სწერია. „ნამდვილ წყაროებიდან ჩვენ გვატყობინებენ დაწვრილებით იმ განცხადებს, რომელიც თავის დროზე გააკეთეს უმაღლეს საბჭოში საქართველოს და აღერბეიჯანის წარმომადგენლებმა. სიტყვა სრულიადაც არ ეხებოდა

იმ ფაქტს, რომ დღიდან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს აღმოეჩინოთ ის დახმარება, რომლითაც სარგებლობდენ დენიკინი და მისი მომხრე რუსები. ლაპარაკი იყო მხოლოდ იმის შესახებ, თუ რა მხრით შეიძლება საქართველოს და აზერბეიჯანის ბუნებრივ საზღვრების დაცვა ბოლშევიკების შემოსევისაგან. აგრეთვე გაირჩა საკითხი ყუბანის შესახებ. უმაღლესი საბჭოს ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ საჭიროა დაეხმარონ ყუბანის მცხოვრებლებს. საქართველოს და აზერბეიჯანის წარმომადგენლები მოითხოვდენ აგრეთვე სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარებას, რომლის დამოუკიდებელ რესპუბლიკათ ცნობა ამიერ-კავკასიის საერთო საქმისათვის სასურველია და სასარგებლო".

# შემოწირულება

**მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ.**

ჩვენმა რედაქციამ მიიღო: დ. აბაშაში სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებაში მოსამსახურეთა შორის შეკრებილი 5524 მანეთი და იმავე მოსამსახურეთა ინიციატივით გამართულ კინემატოგრაფიულ სურათებიდან შემოსული 7026 მ. სულ 12550 მ. შემომწირველთა სია: ლუკა კეკელია—181 მ., მიტრ. ხოშტარია—175 მ., ნიკო მიმინოშვილი—175 მან., მარგალიტა გაბილაია—138 მ., ტონია პიტლეიარსკი—141 მ., გრიგოლ გაბილაია—130 მ., მამანტი კაჭარავა—185 მ., ივანე კაჭარავა—119 მ., ფილიპე ჩიჩუა—139 მ., სერგი კაჭარავა—146 მ., კოტე გუგუნავა—125 მან., ალექსანდრე ტატიშვილი—40 მ., დავ. გოგიავა—28 მ., კესარია ჭანტურაია—18 მ., ბესარიონ ქვანია—325 მ., ნოე ბოკუჩავა—250 მ., არისტარხ ჭანტურაია—250 მ., ბათუ ჭანტურაია—150 მ., ლეონტი კორძახია—250 მან., ივანე გაბუნია—150 მ., ილია ჭანტურაია—120 მ., ალექსანდრა სიმონია—100 მ., ნოე მაშავა—95 მ., სერაპიონ ჭანტურაია—90 მან. შუშანიკა ნადარეიშვილი—90 მ., გიორგი ჭანტურია—85 მ., პარმენ მიმინოშვილი—85 მან., ჭიჭიკო ცომაია—85 მ., პეტრე ჯანელიძე—84 მ., ერმილე გვაზავა—80 მ., პავლე ცომაია—80 მ., რემანოზ თედორაძე—80 მ., კლიმენტი ცომაია—50 მ., აქსენტი ფხაკაძე—50 მ., სამსონ გამყრელიძე—200 მ., ტრიფონ კაჭარავა—90 მ., დომენტი კაჭარავა—110 მ., სევასტი კვაჭანტირაძე—55 მ., იონა კაჭარავა—55 მ., ბაბილინა გეგუნავა—55 მ., ანდრია კაჭარავა—50 მ., კალისტრატე გვაზავა 50 მ., სამუელ ცომაია—285 მ., მიტრ. ხოშტარია—118 მ., ან. გაბელია—23 მ., ივანე კაჭარავა—77 მ., კოტე გუგუნავა—77 მ., სერაპ. კაჭარავა—25 მ., არისტარხ ჭანტურაია—95 მ., კარალინა გაბილაია—90 მ., ზინაიდა ქოიავა—90 მ., მატრონა ჩაჩავა—47 მ., გიორგი ჯორჯიკია 300 მ., დავით იოსელიანი—300 მ., ანტონ სტეფანი—150 მ., ალექსი ჭანტურაია—150 მ., ელენე ბურიდუკოვა—150 მ. სულ 7026 მან.

—

ქუთაისის სამხედრო ბინათა დისტანციის მოსამსახურეთაგან 11000 მანეთი.

— კვათანის ვაჟთა პირველ დაწყებითი სკოლის მასწავლებელთაგან 600 მანეთი. სია შემომწირველთა: 1) ფ. შომახია, 2) ო. ჩოჩია, 3) გ. გეგელია, 4) ვ. ჭანტურია, 5) ა. ჭანტურია და 6) ო. კაჭარავა. თითომ 100 მანეთი. ფული გადაეცემა მთავარ კომიტეტს.

—

ტფილისის მაზრის ერობამ გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ გადადო 120,000 მან. გამგეობის წევრებს დავალებული აქვთ შემოვლა მაზრის ყველა თემებისა და ადგილობრივ ინსტრუქციების მიცემა და მოწყობა დამხმარე კომიტეტებისა.

—

შრომის სამინისტროს მოსამსახურეებმა, რიცხვით 24 კაცმა, შეაგროვეს და გადასცეს მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავარ კომიტეტს ერთი დღის ჯამაგირი 3910 მან.

—

მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ტფილისის ტრამვაის მუშა-მოსამსახურეებმა გაგზავნეს ქ. გორში თავიანთი ხვედრი პური 29 ფუთი და $9^1/_2$ გირ.

—

მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ქუთაისის ქალაქის საბჭომ გადასდო ნახევარი მილიონი მან.

—

გურიის სამაზრო ერობამ ჯერ-ჯერობით გორის ფონდისთვის გადასდო ასი ათასი მან.

—

ს. სამტრედიაში რკინის გზის ს.-დ. ქვე-კოლექტივის ინიციატივით შეუკრებიათ 1680 მან.

—

**შემოწირულება 220,000 მანეთის.**

ხონის ქალაქის საბჭო და ხმოსანთა მრავალრიცხოვანი კრება ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს იმ დიდი უბედურების გამო, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს რესპუბლიკას მიწის ძვრის გამო. საბჭო და ხალხი აღუთქვამს მთავრობას ყოველგვარ დახმარებას ქართლის დედა ქალაქის გორის და მისი მიდამოებში მდებარე სოფლების აღდგენაში. ამ ჟამად ქალაქის თვითმართველობამ, ვაჭარ-ხელოსნებმა და მცხოვრებლებმა გაიღეს 220,000 მან. ამას გარდა აღუთქვამენ სურსათით დახმარებას. შესდგა დამხმარე ქალაქის კომიტეტი, რომელიც კვლავ იზრუნვებს დაზარალებულთა დახმარებაზე.

ქალაქის თავი გარდაფაძე.

# ბათუმის საქალაქო არჩევნები

ბათუმის საქალაქო არჩევნები დასრულდა. სულ ასარჩევი იყო 36 ხმოსანი, იბრძოდა რამდენიმე ჯგუფები. გაიმარჯვა ქართველთა დემოკრატიულმა ჯგუფმა. არჩევნების შედეგი ასეთია: ქართველთა დემოკრატიულ ჯგუფმა გაიყვანა 20 ხმოსანი, ებრაელების 1, ბინის დამქირავებლების 1, ბერძნების 8, სომეხთა 4, რუსთა 2.

# ჯარის ცხოვრება.

4.

**საშუალო სასწავლებელში კურს დამთავრებულთა მუდმივ ჯარში მოხალისეებათ შესვლა.**

„სამხედრო ბეგრის და შეიარაღებულ ძალთა შევსების" კანონით საშუალო სასწავლებელთა მოწაფეებს უგრძელდებოდა სამხედრო სამსახურის ვადა სწავლის დასასრულებლათ 21 წლის ასაკამდე, ხოლო უმაღლეს სასწავლებელთა მოწაფეები კი ვალდებულნი არიან მოიხადონ ბეგარა დანარჩენ მოქალაქეებთან ერთად საერთო წესით. ასეთი მდგომარეობა უმეტეს ნაწილად მძიმე პირობებში აყენებდა, როგორც საშუალო სასწავლებელ დამთავრებულ პირებს, ისე უმაღლეს სასწავლებელთა მოწაფეებსაც, ვინაიდან პირველნი—იმ მოსაზრებით, რომ მათ უმაღლესი სასწავლებელი ბეგრის მოხდაში არავითარ შეღავათს არ აძლევს, უცდიდენ გასაწვევ ასაკის მოახლოვებას და ამ სახით ფუჭათ კარგავდნენ დიდ დროს, ხოლო მეორეთ—უძნელდებოდათ მეცადინეობისათვის ენერგიულათ ხელის მოკიდება, რადგანაც დღეს თუ ხვალ მოელოდენ ჯარში გაწვევას.

ასეთ მდგომარეობას სათანადო ყურადღება მიაქცია მთავრობამ და წარსულ წლის ნოემბერში დამტკიცდა „რესპუბლიკის ჯარში მოხალისეთ შესვლის" დებულება*), რომლის ძალით იმ ახალგაზრდებს, რომელთაც დასრულებული აქვთ საშუალო სასწავლებელი და მოისურვებენ ჯარში შესვლას ვიდრე სამხედრო ბეგრის მოსახდელათ კანონით დადგენილ წლოვანობას მიაღწევდენ, მიიღებენ ჯარში მოხალისეებათ, თუ ისინი არ არიან დაბადებიდან 17 წელზე ნაკლები, ან ფიზიკურათ უვარგისნი.

დღეს ხშირია შემთხვევა 17, 18 და 19 წლის ახალგაზრდათა მიერ საშუალო სასწავლებლის დასრულებისა. ასეთი ახალგაზრდები, თუ შევლენ უმაღლეს სასწავლებელში, იძულებულ გახდებიან სამხედრო ბეგრის წლოვანობისას შესწყვიტონ სწავლა და შევიდნენ ჯარში, როგორც სამხედრო ვალდებულები, ანდა 1—3 წლამდის უცადონ გაწვევის ასაკს. როგორც პირველი, ისე მეორე შემთხვევაც მათთვის სრულიად არ არის ხელსაყრელი. ზემოხსენებული დებულება-კი მათ ნებას აძლევს:

1) ყოველ დროს შევიდნენ ჯარში სამსახურისათვის,

2) უფლება აქვთ ამოირჩიონ სამსახურისათვის ჯარის ის დარგი (ქვეითა ჯარი, არტილერია, ცხენოსანი და საინჟინერო სატეხნიკო ჯარი), რომელიც მათ სურთ და

3) იმსახურონ საერთო წესით სამსახურის ვადის გათავებამდის (ქვეითა ჯარში—1 წ. და 4 თვე და სპეციალურ ჯარებში—1 წ. და 8 თვე), რის შემდეგ გადაირიცხებიან სათადარიგოთ თანახმად სამხედრო ბეგრის კანონისა.

ამ სახით აღნიშნულ ახალგაზრდებს შეძლება აქვთ პირნათლათ მოიხადონ თავისი მოვალეობა რესპუბლიკის წინაშე და ამავე დროს შემდეგი პირადი სარგებლობაც ნახონ: ერთის მხრით, დღეს რესპუბლიკის მუდმივ ჯარში სამსახური მცირეხნოვანია და მასთან ერთად ყოველი ჯარისკაცი სამსახურში თავს გრძნობს, როგორც სრულ უფლებიანი მოქალაქე, რის გამო ჯარში სამსახური არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს; მეორეს მხრით, 9—10 წლის განმავლობაში სასწავლებელში მეცადინეობით ერთსახეური ფიზიკური და სულიერი მოქანცვა სამხედრო სამსახურის ალახი ცხოვრებით სრულიად გამოიცვლება, ტანი გაჯანსაღდება, დამძიმებული გრძნობა აზროვნება დაისვენებს და სამსახურის გათავების შემდეგ ასეთ ახალგაზრდებს შეეძლებათ სრული ენერგიით და მთელი სიცხოველით მოეკიდონ იმ მძიმე საშუშაოს, რომელსაც დააკისრებს მათ უმაღლესი სასწავლებელი.

ამავე დროს მოხალისეთა რიცხვის გამრავლებით მუდმივი ჯარის მდგომარეობაც ბევრათ გაუმჯობესდება. ყველამ კარგათ იცის, თუ რამდენათ არის საჭირო დღეს მუდმივ ჯარში კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა. რესპუბლიკის ცხოვრება დღითი დღე მძიმე, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით წინ მიიწევს, ცხოვრება თანდათან რთულდება და მისი, ყოველგვარი დარგი სალ გადახალისებას მოითხოვს. მხოლოდ ამ სახით გაძლიერებულ აღმშენებლობითი მუშაობას შეუძლია რესპუბლიკის არსებობის საბოლოოთ განმტკიცება და ასეთი მუშაობა მთელი თავისი მნიშვნელობით უნდა გაჩაღდეს მუდმივ ჯარშიც, ურომლისოთ ყოვლად შეუძლებელია ერმა შეინარჩუნოს ყოველივე ის, რაც მას მწარე შრომითა და ჯაფით აქვს შეძენილი. ასეთი მუშაობისათვის კი მუდმივ ჯარში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს განვითარებულ ელემენტთა რიცხვის გადიდება. ამ გვარათ საშუალო სასწავლებელ დასრულებულ ახალგაზრდებს დღეს თავისუფლათ შეუძლიათ უმტკივნელოთ მოიშორონ თავიდან სამხედრო ბეგარა და ამავე დროს მნიშვნელოვანი დახმარებაც გაუწიონ მუდმივ ჯარს, რასაც, ვფიქრობთ, ისინი სათანადო ყურადღებით და სრული შეგნებით მოეპყრობიან.

ა—ნი.

*) ეს დებულება მოთავსებულია 1919 წ. „საქართველოს რესპუბლიკის" 4 დეკემბრის ნომერში.

ა-ნი.

# უცხოეთი

**ადმირალ კოლჩაკის ბედი.**

ინგლისურ გაზ. „დეილი მეილ"-ის 22 იანვრის თარიღით ხარბინიდან აუწყებენ: ეჭვი არაა, რომ ადმირალი კოლჩაკი ამ ჟამად რევოლიუციონერების ირკუტსკშია. უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს, რომ მას გასამართლებას უპირებენ. კოლჩაკის მიერ 70 მილიონი გირვანქა სტერლინგის შესახებ არაფერი იციან.

—

მოკავშირეთა ჯარების წასვლისათანავე ადმირალი კოლჩაკი სოც.-რევოლიუციონერების ტყვეობიდან ბოლშევიკების ხელში გადასულა.

—

ინგლისის სამხედრო მისია ირკუტსკიდან ჩიტაში გადასულა.

ირკუტსკიდან გასულა აგრეთვე იაპონიის ყველა ჯარები.

ეს ქალაქი ჩეხებსაც დაუტოვებიათ.

—

„ტაიმს"-ს ვლადივასტოკიდან დეპეშით აუწყებენ, რომ კოლჩაკთან მყოფ 26 ინგლისელ ოფიცრიდან პოლკოვნიკი ჯონსონი და აგრეთვე ომსკში მყოფ სარკინიგზო კომისიის წევრები ბოლშევიკებს ტყვედ წაუყვანიათ.

—

ამერიკის ჯარმა დაიწყო ციმბირიდან გასვლა.

ინგლისური გაზეთების ცნობით, ანატოლიიდან სტამბოლში ჩასულა ოსმალეთის ნაციონალისტების რამდენიმე ბელადი, რომელნიც მოითხოვდნენ, რომ პარლამენტი გადავიდეს ანატოლიაში, ნაციონალისტების მთავარ ბანაკში. ჯერ-ჯერობით ამ საკითხზე არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

—

მადრიდიდან გაზ. „ტაიმს"-ს აუწყებენ, რომ ისპანიის გერმანოფილურ პრესაში დიდი სიხარული გამოუწვევია კლემანსოს წასვლას და მაშინვე დაუწყიათ კამპანია საზავო ხელშეკრულების გადასინჯვის სასარგებლოდ. ხსენებულ ინგლისურ გაზეთის აზრით გერმანოფილურ გაზეთების მკითხველთა რიცხვი ესპანელთა შორის დიდად გაიზარდა, რაც იმას ამტკიცებს, რომ ისპანიაში გერმანოფილური პროპაგანდა ერთგულად და ფარულად სწარმოებს.

—

ტრანსილვან-ლებმა მოკავშირეებს შესჩივლეს, რომ რუმინელები მათ წინააღმდეგ სარწმუნოებრივ დევნას აწარმოებენ. ამის გამო ინგლისის მთავრობამ ტრანსილვანიაში საგანგებო კომისია გაგზავნა საქმის გამოსაძიებლად.

# დეპეშები

**(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)**

შავი ზღვის გლეხთა შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის ოფიციალური ცნობა. 24 თებერვლის შუადღის ოთხ საათზე ჩვენმა ჯარმა 6 საათის ბრძოლის შემდეგ ტუაპსეოლი და ჯუბინის დ გელენჯიკის რაიონების პარტიზანებს შეუერთდა. წამოვიყვანეთ 1500 ტყვე, ამათ რიცხვში ჯარების უფროსი გენ. ბურნევიჩი, 310 ოფიცერი, ხელში ჩავიგდეთ ათი ზარბაზანი, 49 ტყვიის მფრქვეველი სამი მატორიანი გემი, ტანსაცმელის და სურსათის საწყობები და ხაზინა 30 მილიონი მანეთით. 23 თებერვალი, ჩვენი პარტიზანული რაზმი გელენჯიკთან მივიდა.

**ფრანგული ცნობები.**

„პტი პარიზიენი" შემდეგ ცნობებს იძლევა რკინის გზელთა გაფიცვის შესახებ: შაბათს, დილით, რკინის გზელთა კავშირმა გამოსცა დადგენილება რკინის გზებზე საყოველთაო გაფიცვის შესახებ. მდგომარეობა დღითი-დღე უმჯობესდება. „პლმ"-ს ხაზზე, სადაც პირველად მოხდა ინციდენტი, შესანიშნავი მდგომარეობაა. ჩრდილოეთშიც კარგი მდგომარეობაა. აღმოსავლეთში—უცვლელია. ორლეანის გარშემო მდგომარეობა გამწვავდა. მატარებელთა მისვლა მოსვლა იკლო წინანდელთან შედარებით. მთავრობა ზომებს იღებს ხალხისათვის სურსათ სანოვაგის მისაწოდებლად და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დასაცავად. რკინის გზელთა მობილიზაციის შესახებ გამოცემული ბრძანებანი საჩქაროთ მოიყვანეს სისრულეში. საერთოდ მშვიდობიანობაა. თუ მოლაპარაკება განახლდა, შესაძლებელია, რომ შეთანხმების ნიადაგი იპოვონ.

„პტი პარიზიენის" ლონდონელი კორესპონდენტი სწერს ლონდონის კონფერენციის შესახებ. უმაღლეს საბჭოს ორივე სექციას ეკონომიურთს და პოლიტიკურს შაბათს ორი ცალ ცალკე და ერთი საერთო სხდომა ჰქონდა ეკონომიური სექცია ლოიდ ჯორჯის თავმჯდომარეობით, განაგრძობდა ეკონომიურ მდგომარეობის განხილვას იმ მიზნით, რომ ნათლად გასცნობოდნენ ევროპის დეფიციტისა და სიძვირის საკითხს და ამ მდგომარეობიდან რაიმე გამოსავალი ეპოვათ. უტყუარი ციფრებიდან გამომდინარეობს, რომ საფრანგეთსა და იტალიაში ომის წინადროსთან შედარებით ფასებს აუწევია 300°/₀ ით ინგლისში 170°/₀ იაპონიაში 160°/₀ და ამერიკაში 120°/₀, განიხილეს აგრეთვე შუა ევროპის სახელმწიფოთა მდგომარეობა. (დასასრული არ მიგვიღია).

საზოგადო საქმეთა სამინისტროსთან მინისტრმა გახსნა სპეციალური ბიურო მუშების დასაქირავებლად. ამ ბიუროს კარებს მიაწყდა მრავალი ხალხი და მათ ჩასაწერად დანიშნული მდივნები ჩაწერას ველარ ასწრებდენ. საზოგადოების სხვა და სხვა კლასის წარმომადგენლებმა განაცხადეს სურვილი მუშაობისა. მეორეს მხრით საზოგადო სამუშაოთა მინისტრმა რესპუბლიკის პრეზიდენტს ხელმოსაწერად გადასცა დეკრეტი, რომელიც პარასკევს პარლამენტმა მიიღო და რომლის ძალითაც უნდა მოხდეს სამოძრაო საშუალებათა საერთო რეკვიზიცია.

კვირა საღამოს პოლ დეშანელი პარიზიდან გაემგზავრება ბორდოს იმ ცერემონიაზე დასასწრებათ, რომელსაც ელზას ლორენის დეპუტატების მიერ პროტესტის განცხადების წლის თავის აღსანიშნავათ მართავენ. მასთან ერთად წავლენ: მიწად-მოქმედების მინისტრი რიკარი, ახალშენების მინისტრი ალბერ სარო და შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი რობერ დავი.

ლონდონიდან იუწყებიან: ფინანსთა მინისტრი ფრანსუა მარსალი ლონდონიდან პარიზს კვირა დილით წავათ.

დღემდის არავითარი ცნობები არ არის გენერალი ლაპერინის შესახებ და კაიროდან იტყობინებიან: დასავლეთ აფრიკის გუბერნატორმა ტინ-ზაუტენკადალის გზებზე და ტიმბუქტუს მიდამოებში საძებარათ გააგზავნა ხალხი და ნიგერის აღმოსავლეთით მყოფ ყველა ფრანგთა პოსტს უბრძანა მათი მოქმედების რაიონში სათანადო ძებნა მოახდინონ.

ავიატორმა ჟან კაზალმა, რომელმაც ერთხელ სიჩქარის რეკორდი აიღო, დადგენილ პირობებში ე. ი. კილომეტრი წინ და კილომეტრი უკან, საშუალო საათში 283 კილომეტ-

ამით საყოველთაოდ ცხადდება, რომ თანახმად ქუთაისის ოლქის სასამართლოს რეგისტრაციული განყოფილების 3 დეკემბრის 1919 წ. დადგენილებისა შეტანილია კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში, წესდება ბაღდათის მომხმარებელ საზოგადოების „ხალხი-“ს დაარსებულის ბაღდათში.

(1—0375—1)

ამით საყოველთაოდ ცხადდება, რომ თანახმად ქუთაისის ოლქის სასამართლოს, რეგისტრაციული განყოფილების 8 დეკემბრის 1919 წ. დადგენილებისა შეტანილია კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში, წესდება ჩიბათის მომხმარებელ საზოგადების ,,საუნჯე-“ს დაარსებულის ს. ჩიბათში.

(1—039—1).

ამით საყოველთაოდ ცხადდება, რომ თანახმად ქუთაისის ოლქის სასამართლოს რეგისტრაციული განყოფილების 8 დეკემბრის 1919 წ. დადგენილებისა შეტანილია კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში, წესდება ქ. ლანჩხუთის მამხმარებელ საზოგ. „სარგებლობის“ დაარსებული ქ. ლანჩხუთში.

(1—0389—1).

ამით საყოველთაოდ ცხადდება, რომ თანახმად ქუთაისის ოლქის სასამართლოს რეგისტრაციული განყოფილების 8 დეკემბრის 1919 წ. დადგენილებისა შეტანილია კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში, წესდება აბაშის ცაცხვის ძირი-“ს .მომხმარებელ საზოგადოების ,,შეღავათის“ დარსებულის ს. აბაშაში.

(1—0388—1).

ამით საყოველთაოდ ცხადდება, რომ თანახმად ქუთაისის ოლქის სასამართლოს რეგისტრაციული განყოფილების 8 დეკემბრის 1919 წ. დადგენილებისა შეტანილია კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში. წესდება ჭანჭათის მომხმარებელ საზოგადოების ,,წყარო-“ს დაარსებულის ს. ჭანჭათში.

(1—0387—1).

ამით საყოველთაოდ ცხადდება რომ თანახმად ქუთაისის ოლქის სასამართლოს რეგისტრაციული განყოფილების 8 დეკემბრის 1919 წ. დადგენილებისა შეტანილია კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში, წესდება ქ. ლანჩხუთის გუმბელაურის მომხმარებელ საზოგადოების „პირველი ნაპიჯი-ს“ დარსებულის ქ. ლანჩხუთში.

(1—0386—1).

საყოველთაოდ ცხადდება რომ სოხუმის ოლქ. სასამ. 1919 წ. ივლიის 11 დადგენილებით, იმ საზოგადოებათა და კავშირთა ნუსხაში, რომელთაც მოგება არ აქვთ მიზნათ დასახული, შეტანილია 1 ნაწ. №4 ქ. სოხუმში სამხატვრო ამხანაგობის, დაარსებულის დიმიტრი ივანეს ძე არზამასოვის პეტრე ალექსანდრეს ძე ვსევოლჟსკის და სხვ. მიერ.

(1—21—1).

საყოველთაოდ ცხადდება, რომ სოხუმის ოლქ. სასამ. 1919 წ. სექტ. 15-ს დადგენილებით იმ საზოგადოებათა და კავშირთა ნუსხაში, რომელთაც მოგება არ აქვთ მიზნათ დასახული, შეტანილია 1 ნ. №7, 1919 წ. წესდება საზოგადოებისა ,,ჟოკეი-კლუბი“ დაარსებულის ალექსანდრე ივანეს ძე კაპილოვის და სხვ. მიერ.

(1—22—1).

საყოველთაოდ ცხადდება, რომ სოხუმის ოლქ. სასამ. 1919 წ. 25 ივლისის დადგენილებით სოხუმის ოლქ. კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში ნაწ. 1, №10, 1919 წ. შეტანილია წესდება გაგრის მომხმარებელ საზოგადოებისა ,,ნაროდნაია სტოლოვაია“, დაარსებულის ემელიანე ეფიმის ძე მეგრელიძის, ნიკოლოზ დიმიტრის ძე ლაზარევის და სხვ მიერ.

(1—19—1).

საყოველთაოდ ცხადდება რომ სოხუმის ოლქ. სასამ. 1919 წ. ივლისის 25-ს დადგენილებით იმ საზოგადოებათა და კავშირთა ნუსხაში, რომელთაც მოგება არ აქვთ მიზნათ დასახულნ ნაწ. 1, №5 1919 წ. შეტანილია წესდება ახალი და ძველი გაგრის მიწის და სახლის პატრონთა კავშირისა, დაარსებულის ფელიკო ვიკენტის ძე გოგუშევსკის' დიონის დიანოსის ძე ნეიმანის და სხვ. მიერ.

(1—20—1).

საყოველთაოდ ცხადდება, რომ სოხუმის ოლქ. სასამ. 1919 წ. აგვისტოს 11-ს დადგენილებით სოხუმის ოლქ. კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში ნაწ. 1, №11 1919 წ. შეტანილია წესდება მომხმარებელ საზოგადოების ,,ნდობა“ ქ. სოხუმში, დაარსებულის რომან გაბრიელის ძე მასარიას მიხეილ ივანეს ძე მერულავა დი სხვ. მიერ.

(1—16—1).

საყოველთაოდ ცხადდება, რომ სოხუმის ოლქ. სასამ. 1919 წ. მარტის 22-ს დადგენილებით შეტანილია ქ. სოხუმის ოლქ. კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში ნაწ. 1, №6, 1919 წ. რესტორანის პატრონთა სოხუმში საზოგადოება სახელწოდებით ,,სოიუზი“ დაარსებულის ნიკოლოზ ზაქარიას ძე ჯილაურის გერასიმე ოქროპირისძე ჭელიძის, სპანაკის და სხვ. მიერ.

(1—18—1)

საყოველთაოდ ცხადდება, რომ სოხუმის ოლქ. სასამ. 1919 წ. ივლისის დადგენილებით, სოხუმის ოლქ. კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში 1, ნაწ. №9 შეტანილია ქ. ოჩემჩირის რესტორანის სასადილოს პატრონთა და მეღვინეთა პროფესიონალურ კავშირის წესდება სახელწოდებით ,,სვეტ“ დაარსებულის ალექსანდრე რომანოზის ძე ურიდიას, ესტატე საბას ძე თოდუას და სხვ. მიერ.

(1—9—1).

საყოველთაოდ ცხადდება, რომ სოხუმის ოლქ. სასამ. 1919 წ. მარტის 22-ს დადგენილებით სოხუმის ოლქ კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში 1 ნაწ. №5 1919 წ, შეტანილია წესდება მომხმარებელ საზოგადოების პიონერის“ დაარსებულის სტანისლავ ანტონის კარაჩევსკის მოდესტ გრიგოლას ძე ნოვიკოვის და სსვ. მიერ.

(1—17—1).

საყოველეთაოდ ცხადდება რომ სოხუმის ოლქ. სასამ. 1919 წ. მარტის 22-ს დადგენილებით სოხუმის ოლქ. კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში 1, ნაწ. № 4 1919 წ. შეტანილია წესდება რუსულ მომხმარებელ საზოგადოების, დაარსებულის ნიკოლოზ გრიგოლის ძე კიედრიაშევის და სხვ. მიერ.

(1—12—1).

საყოველთაოდ ცხადდება, რომ სოხუმის ოლქ. სასამ. 1919 წ. მაისის 3-ს დადგენილებით სოხუმის ოლქ. კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში ნაწ. 2, № 1, 1919 წ. შეტანილია წესდება გუმისტინის უბნის კოოპერატივთა კავშირი დაარსებულის რომან გაბრიელის ძე შასარიას ქრისტიფორე პეტრეს ძე ნაამერის და სხვ. მიერ.

(1—11—1).

საყოველთაოდ ცხადდება, რომ სოხუმის ოლქ. სასამ. 1919 წ. 30 ივნისის დადგენილებით იმ საზოგადოებათა და კავშირთა ნუსხაში, რომელთაც მოგება არ აქვთ მიზნათ დასახილი სოხ. ოლქ. სასამ. 1 ნაწ. № 8 შეტანილია წესდება ქალაქთა პირველ კოოპერატივის ქ. სოხუმში დაარსებულია მარიამ ალექსანდრეს ასულის კლდიაშვილის ოლღა ვალერიანეს ასულის ზაუერის და სხვ. მიერ.

(1—14—1)

საყოველთაოდ ცხადდება, რომ სოხუმის ოლქ. სასამ. 1619 წ. აპრილის 5-ს დადგენილებით კოოპერატიულ ამხანაგობათა ნუსხაში, შეტანილია 1 ნ. №7, 1919 წ. წესდება ქ. სოხუმის სამთავრებო და საზოგადო დაწესებულებათა მოსამსახურების კოოპერატივისა დაარსებულის ნიკოლოზ ყარამანის ძე თავდგირიძის, ნიკოლოზ მიხეილის ძე პროსოლოვის და სხვ. მიერ.

(1—13—1).

საყოველთაოდ ცხადდება, რომ სოხუმის ოლქ. სასამ. 1919 წ 5-ს ივლისის დადგენილებით, იმ საზოგადოებათა და კავშირთა ნუსხაში რომელთაც მოგება არ აქვთ მიზნათ დასახული, შეტანილია სოხუმის კომერაციულ საკრებულოს წესდება 1, ნაწ. № 3, 1919 წ. საკრებულო დაარსებულია დემოსფენ ივანეს ძე იონიდის, სამუილ იოსების ძე მამაჯანისა და სხვ. მიერ.

(1—52—1).

საყოველთაოდ ცხადდება, რომ სოხუმის ოლქის სასამართლ. 1919 წ. სექტემბრ. 15-ს დადგენილებით, იმ საზოგადოებათა და კავშირთა ნუსხაში, რომელთაც მოგება არ აქეთ მიზნათ დასახული, სოხ. ოლქ. სასამ. ნაწ. 1, № 6 შეტანილია წესდება, კანონიერ ნადირობის სოხუმის საზოგადოებისა“ დაარსებულის ვასილ ევგენის ძე გუსევის პავლე გიორგის ძე გაბუნიას და სხვ. მიერ.

(1—15—1).

სისხლ. სამ. წარ. წეს. მე-846, 847 და 851 მუხ. ძალით, ტფილისის ოლქის სასამ. დადგენილებით, ეძებენ მოქალაქეს რუსტომ გიბნახოვსა, რომელსაც ჰბრალდება დანაშაული გათვალისწინებული სასჯ. დებ. 1632 და 1629 მუხ. დამალულის ნიშნებია: 40-39 წლისა, შუა-ტანისა, წვერ-ულვაშ გაპარსული, ეროვნებით აისორი. განსაკუთრებული ნიშნები არა აქვს. ყველა, ვინც იცის მისი ბინადრობა ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს სად არის, ყველა ის დაწესებულებანი, რომელთა უფლებაში აღმოჩნდება მისი ქონება ვალდებულია დაუყონებლივ გადასცეს იგი სააპეკუნო გამგეობას.

(1—031—1).

სისხლის სამართლის სასამართლოს წარ. წესდების 846, 847, 848, და 871. მუხლის თანახმათ, თბილისის მე-4 უბნის მომრიგებელ მოსამართლის დადგენილებისა ეძებენ ნატალია იაკოფის ასულს ეხნას. ყველა ვინც კი იცის სად სცხოვრობს ეს, ვალდებულია გამოუცხადოს სასამართლოს.-დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი მამული ვალდებულნი არიან გადასცენ იგი სააპეკუნო სასამართლოს.

(1—030—1)

სისხ. სამ. წარ. მე-846, 817 და 851 მუხ. ძალით ტფილისის ოლქის სასამ. დადგენილებით, ეძებენ მცხ. სოფ. გორუნდჟუკიდან ვასო მარკარიანცს, რომელსაც ბრალდება დანაშაული გათვალისწინებული სასჯ. დებ. 1630 და 1633 მუხ. დამამულის ნიშნები გამოურკვეველია. ყველა, ვინც იცის მისი ბინადრობა ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს სად არის, ყველა ის დაწესებულებანი რომელთა უფლებაში აღმოჩნდება მისი ქონება ვალდებულია გადასცეს იგი სააპეკუნო გამგეობას.

(1—031—1)

სისხლ. სამ. წარ. წეს. მე-846, 847 და 851 მუხ. ძალით ტფილისის ოლქის სასამ. დადგენილებით, ეძებენ მცხ. სოფ. გორუნდჟუკისა ვასო მარკოვსა სოფ. ჯადამისა ტიგრან ათაბეკოვს, სიმონ სიმონისოვსა, სოფ. ვარდისუბნისა მიკიჩა კაროშვილს, რომელთაც ჰბრალდებათ დანაშაული სასჯ. დებ. 168ე და 1633 მუხ. დამალულის ნიშნები გამოურკვეველია. ყველა, ვინც იცის მათი ბინდრობა, ვალდებულია, განუცხადოს სასამართლოს სად არიან. ყველა ის დაწესებულებანი რომელთა უფლებაში აღმოჩნდება ქონება, ვალდებულია დაუყონებლივ გადასცეს იგი სააპეკუნო გამგეობას.

(1—032—2)

სისხ. სამ. წარ. მე-846, 947 და მუხ. ძალით ტფილისის ოლქის სასამ. დადგენილებით, ეძებენ მოქალაქეს სალამან იბრაგიმ ოღლის, რომელსაც ჰბრალდება დანაშაული გათვალისწინებული ს. დ. 396 მუხ. დამალულის ნიშნები გამოურკვეველია. ყველა, ვინც იცის სალამონ იბრაგიმ ოღლის ბინადრობა ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს სად არის. ყველა ის დაწესებულებანი რომელთა უფლებაში აღმოჩნდება ქონება, ვალდებულია დაუყონებლივ გადასცეს იგი სააპეკუნო გამგეობას.

(1—032—1)

1918 წ. მარტის 19 ს ტფილ. ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. თევდორე ევტიხის ძე რადიონოვმა 1.000 მ. მიჰყიდა ანტონ და ალექსანდრე ივანეს ძეთ გოზალოვებს მიწის ნაჭერი, № 494, ზომით 80,63 კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისის მე-11 უბ., ხუდადოვის ქ., ქალ. № 1079. სიმტკიცის გადახდილია 40 მ. მთავარი ამონაწერი 5 მ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია.

1—326—1.

1919 წ. სექტ. 16 ქუთაის. ოლქ სას. უფროსმა ნოტარ. დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი რომლითაც გარდაცვალებულ თეოფანე პეტრეს ძე მუმკუდიანის ოპეკუნმა ლევანტი რევაზის ძე კერვალიძემ 21000 მ. მიჰყიდა გიორგი სპირიდონის ძე ბარამაძეს და ოლღა სპირიდონის ასულს მუმკუდიანს მიწის ნაჭერი შენობებით მდებარე ქ. ქუთაისში, რუბანის ქ. შესახვევში, ზომით 100 კვ. ს. სიმტკიცის გადახდილია 840 მ. მთავარი ამონაწერი 210 მ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია

1—1830—1.

1919 წ. აგვისტოს 5-ს ტფილ. ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ევანფია გრიგოლის ასულმა ფეოფილაქტოვამ 10 000 მ. მიჰყიდა ნაიმ მოსეს ძე კალმანოვიჩს მიწის ნაჭერი შენობებით, მდებარე ქ. ფოთში მეოცე კვარტალში ზომით 260 კვ. სიმტკიცის გადახდილია 400 მ. მთავარი ამონაწერი 100 მ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია.

1—1839—1.

1919 წ. აგვისტოს 18-ს ტფ. ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც სოფიო თარხანის ასულმა დარჩიამ 2150 მ. მიჰყიდა ნესტორ ბურდღუს ძე კაკულიას მიწის ნაჭარი შენობებით, მდებარე ქ. ფოთში, ივანოვის ქ., № 37 ზომით 260 კვ. ს. სიმტკიცის გადახდილია 860 მ. მთავარი ამონაწერი 220 მ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია.

1—1840—1.

1919 წ. წ. აგვისტოს 11-ს ქუთაისის ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც რუთა ფილიხაზის ასულმა თავდიდიშვილმა 2.000 მ. მიჰყიდა აბრამ მიხეილის ძე თავდიდიშვილს მიწის ნაჭრის 1/6 შენობებით, მდებარე ქ. ქუთაისში, ზომით; და დასავ. 80—80 არშ. ჩრდ. 12 არშ. და სამხრ. 15 არშ. სიმტკიცის გადახდილია 134 მ. მთავარი ამონაწერი 24 მ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია

1—1837—1.

1919 წ. ივლისის 11-ს ქუთაის. ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ლუკა ქაიხოსროს ძე ბოლქვაძემ 4000 მ. მიჰყიდა ბარნაბა სოლომონის ძე ყუფარაძეს მიწის ნაჭერში შენობებით, მდებარე ქ. ქუთაისში ჰოსპიტლის ქ., ზომით: ა—6½ ს.. დ.—7 ს. ჩრდ.—132. და ს.—გაღუნული ხაზით ა. დ. 11 ს. დ. ს. 2 არ. და ა. დ. 32. სიმტკიცის გადახდილია 200 მ. მთავარი ამონაწერი 50 მ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიღებულია. 1—1838—1.

სისხლ, სამ. წარმ. წესდ მე—946, 847 და 851 მუხ. ძალით სოხუმის ოლქ. სასამართლოს დადგენილებით ეძებენ ს. ორხარის, გუდაუთის მაზ.; მცხოვრებს ნიკოლოზ აიბას, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. მე—1629 და 1632 მუხ ძალით. აიბა 28 წლ. ნიშნები გამოურკვეველია. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს აიბა, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს, დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ საოპეკუნო გამგეობაში.

(1—012—1)

სისხლ. სამ. წარმ. წესდ. მე—846, 847 და 851 მუხ. ძალით, სოხუმის ოლქის სასამართლოს დადგენილებით ეძებენ ს. მუგუძვირხვას, გუდაუთის მაზ., მცხოვრებს კაპლან დაუთის ძე დბარს, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. 162 9 და 1632 მუხ. ძალით. 22 წლ. ნიშნები გამოურკვეველია. ყველა ვინც იცის სად ცხოვრობს დბარი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში, აღმოჩნდება მისი ქონება ვალდებული არიან დაუყონებლივ შეუტანონ საოპეკუნო გამგეობაში.

(1—012—1)

სისხლ. სამ წარმ. წესდ. მე—846, 847 და 851 მუხ. ძალით ხოხუმის ოლქის სნსამართლოს, დადგენილებით ეძებენ ს. მუგუძვირხვას, გუდაუთ მაზრ., მცხოვრებს კოკუნამატუსძე მორლანიას, რომელსაც ბრალი ედებია სასჯ. დებ. მე—1629 და 1632 მუხ. ძალით. მარლანია 45 წლისაა, სხვა ნიშნები გამოურკვეველია. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს მარლანია, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ საოპეკუნო გამგეობაში.

(—012—1)

სისხლ. სამ. წარმ. წესდ. მე-846,847,დ. 851 მუხ. ძალით, სოხუმის ოლქ. სასამართლოს დადგენილებით ეძებენ ალექსანდრე ტორჩინავას, რომელსაც ბრალი ედება სამ. კან. კრებ. 13,3 ნ. 1655,2 პ. 1654 და 1649 მუხ. ძალით. ნიშნები: 22—23 წლის, ქერა. ყველა ვინც იცის სად ცხოვრობს ტორჩინავა, ვალდებული განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომლითა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებული არიან ლაუყონებლივ შეიტანონ სააპეკუნო გამგეობაში. (1—011—1).

სისხლ. სამ. წარმ. წესდ. მე-846,847, და 851 მუხ. ძალით, სოხუმის ოლქ. სასამ. დადგენილებით გიორგი ვასილის ძე ანასტასიადის, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. 13 და 16 42 მუხ. ძალით. ანასტასიადის ნიშნები: 25 წლის, მაღალი სუფთა პირის სახე, ქერა ულვაშები, წვერს იპარსავს ყველა, ვინც სად ცხოვრობს ანასტასიადი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ სააპეკუნო გამგეობაში.

(1—016—1).

1919 წლის მაისის 15-ს ტფილისის უფროსმა ნოტმრიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ივანე ივანეს ძე ამისაძემ 15000 მან. მიჰყიდა ალი ფაშა ოღლის აბასოვს მირზა რიზა ალი ზადეს მიწის ნაჭერი, ზომით

65 ოთხკ. ს. მდებარე ქ. ტფილისის 1 უბანში ვაკეზე, ქალაქის № 1057. გადახდილია: სააქტო 3 მან., განცხადების 1 მ. 50 კ., გადასაწერი 1 მ. 20 კ. და სიმტკიცის 200 მან. მთავარი ამონაწერი 75 მან. ღირებულ საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 1—340—1

1919 წლის მაისის 20-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც გიოგი ლუარსაბის ძე მაჭავარიანმა 22000 მან. მიჰყიდა კალისტრატე რაჟდენის ძე ცხვირაკაშვილს მიწის ნაჭერი, ზომით 71 ოთხკ. ს. მდებარე ქ. ტფილისში, მატერიალნი ქუჩაზე ქალაქის № 1249. გადახდილია: სააქტო 3 მან. განცხადების 1 მ. 50 კ. გადასაწერი 1 მ. 20 კ. და სიმტკიცის 880 მან. მთავარი ამონაწერი 110 მან. ღირებულ საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 1—340—1

1919 წლის მაისის 16-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ილარიონ, იასონ, ნინო, გიორგი და ნიკოლოზ, ვასილის ძე გაბაშვილებმა და დარია ვასილ გაბაშვილის ასულ ყიფშიძისამ მიჰყიდეს სცენის მოღვაწეებს საბურთალოში მიწის ნაჭერი, ზომით 565 ოთხკ. ს. მდებარე ქ. ტფილისში ქალაქის № გადახდილია: საქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ. გადასაწერი 60 კ. და სიმტკიცის 20 მან. მთავარი ამონაწერა 2 მ. 50 კ. ღირებულ საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 1—340—1.

1919 წლის მაისის 14-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ილარიონ, იასონ, ნინო, გიორგი და ნიკოლოზ ვასილის ძეთ გაბაშვილებმა დარია ვასილ გაბაშვილის სულ ყიფშიძემ და ოლღა საჩინოს ასულ გაბაშვილმა 679 მან. ვიჰყიდეს მიწის ნაჭერი, ზომით 97,6 ოთხკუ.ს. მდებარე ქ. ტფილისში 1 უბანში გადახდილია: სააქტო 3 მან. განცხადების 1 მ. 50 კაპ., გადასაწერი 60 კაპ. და სიმტკიცის 27 მან. 16 კაპ. მთავარი ამონაწერი 3 მ. 50 კაპ. ღირებულ საღერბო ქაღალდზე მიცემულია. (1—3310—1).

1919 წლის თებერვლის 1-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა გაყოფის აქტი, რომლითაც ელისაბედ სტეფანეს ასულ ქსოვრელმა, ზაქარია და არიუთუნ იოსების-ძე ადამიშვილებმა გაჰყეეს მიწის ნაჭერი 38000 მან. ღირებული, ზომით 170 ოთხკ.ს. მათი განცხადებით კი 319,98 ოთხკ.ს. მდებარე ქ. ტფილისში ქალაქის № 1317 ქსოვრელს შეხვდა ნაჭერი ზომით 85 ოთხკ,ს. მისი განცხადებით 159,64 ზაქარია და არუთენ იოსების ძე ადამიშვილებმა კი მიიღეს დანარჩენი ნაწილი. გადახდილია: საქტო 3 მან. განცხადების 1 მ. 50 კაპ. გადასაწერი 1 მ. 20 კ. მთავარი ამონაწერი 360 მან. ღირებულ საღერბო ქაღალდზე მიცებულია. (1—539—).

1918 წ. სექტემბრის 8-ს ქუთ. ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკუცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ლუკა კონსტანტინეს ძე გურცკაიამ 1000 მ. მიჰყიდა პავლე პელრეს ძე გოგოლაშვილს მიწის ნაჭერი შენობებით. ზომით 9/100 კვ. ს. მდებარე ქ. ფოთში, დიდ კუნძულზე ხილკოვის პრ. № 84. სიმტკიცის გადახდილია 91 მ. 20 კ. მთავარი ამონაწერი 23 მ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 1—1826—1.

1919 წ. სექტემბრის 17-ს ტფილ. ოლქ. სასამ. უფ1ოსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი. რომლითაც დავით და ერასტი ფარნაოზის ძე მხეიძებმა 10.000 მ. მიჰყიდეს არსენ ანდრიას ძე ცხაკაიას და ირაკლი იესეს ძე კვაშილავას მიწის ნაჭერი შენობებით, მდებარე ქ. ახალსენაკში, რუსთაველის ქ. ზომით 21 კვ. ს. სიმტკიცის გადახდილია 412 მ. მთავარი ამონაწერი 110 მ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 1—1825—1.

1918 წ. მარტის 27-ს ტფილისის ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ელენე ნიკოფორეს ასულმა გრომენკომ 7000 მ. მიჰყიდა მიკირტიჩ არტემის ძე ტურიანცს მიწის ნაჭერი შენობებით ზომით 76, 2 კვ. ს. მდებარე ქ. ტფილისის მე-11 უბ. ქალ. № 563. გადახდილია; საქტო-3 მ., განცხ.-1 მან. 50 კ. გადასახ.-60 კ., სიმტკიცის-280 მ. მთავარი ამონაწერი 25 მ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 1—324—1.

1918 წ. მარტის 24-ს ტფილ. ოლქ. სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. დარია რომანის ასულმა ბარანიკოვამ 3.000 მიჰყიდა ნიკოლოზ პავლე და კონსტანტინე სიმონის ძეთ ჩოჩიშვილებს მიწის ნაჭერი შენობებით, ზომით 57, 63 კვ. ს. მდებარე ქ. ტფილისის მე-11 უბ., ქალ. № 40 1-ა. გადახდილია: საქტო-3-მ., განცხ.-1 მ. 40 კ. გადასახ.-60 სიმტკიცის 120 მ. მთავარი ამონაწერი 15 მ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 1—324—1.

1918 წ. მარტის 23-ს ტფილ. ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ვასილისა ივანეს ასულმა ბეზუგლოვამ 6500 მ. მიჰყიდა მოქ. გევორქ ბადალის ძე ბაქარიანცს, იგივე ბაქარაშვილს, მიწის ნაჭერი შენობებით, მდებარე ქ. ტფილისის მე-7 უბანში ქალ. № 861. გადახდილია: საქტო-3 მ., განცხად.-1 მ. 50 კ., გადასაწ.-1 მ. 20 კ., სიმტკიცაა-260 მ., მთავარი ამონაწერი 32 მ. 50 კ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 1—324—1.

1918 წ. მარტის 20-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომელთაც მოქ. ანა იაკობის ასულმა გრიმმა 5.500 მ. მიჰყიდა მინა ვახტანგის ძე ლოლაძეს მიწის ნაჭერი, ზომით 80 კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისის უბ. პეტროვსკის შესახვ. ქალ. № 2049. გადახდილია: საქტო—3 მ. განცხ. 1 მ. 50 კ., გადას.—1 მ. 20 კ., სიმტკიცის 220 მ.. მთავარი ამონაწერი 27 მ. 50 კ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. (1—324—1).

სისხლის სამართლის სასამარ. წარმოებ. წესდებ. 846,847,348 და 815 მუხლის თანხმად, გორის უბნის მომრიგებელ მოსამართლის დადგენილებით ეძებენ მცხოვრებ. სოფელ არაკვა, ახალქალაქის მაზრა, თბილისის ოლქი, ვართან არუთინის ძე აბოვიანცს, რომელსაც ბრალდება ნინო ნიკოლოზის ასულის გონგლაძის კაბის მოპარვა. დაკარგულის ნიშნები: 13 წლისა, შავგვრემალმა. განსაკუთრებული ნიშნები არა აქვს. ყველა, ვინც იცის ვართან ამბოვიანცის, იგივე აბოვიანი, ბინადრობა, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. ყველა ის დაწესებულობა, რომელთა უფლებაში აღმოჩნდება დაკარგულის ქონება, ვალდებულია დაუყონებლივ გადასცეს საპეკუნო გამგეობას. (1—023—1).

სისხლის სამართლის, სასამრ. წარ. წესდების მე-846,847,848 და 815 მუხლის ძალით, ტფილისის მე-4 უბნის მომრიგებელ მოსამართლის დადგენილებით ეძებენ გრიგოლ აიკოფის ძეს მინასიანცს ყველა, ვინც იცის სად სცხოვრობს ეს ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებულნი არიან გადასცენ იგი საპეკუნო სასამართლო. (1—023—1).

სისხლ. სამ. სასამ. წარმ. წესდ. 846,847, 848 და 851 თანახმად ტფილისის 4 უბნის მომრიგებელ მოსამართლის დადგენილებით ეძებენ აბრაგიმ ველი ოღლის. ყველა, ვინც იცის სად სცხოვლობს ეს ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი: რომელთ განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება ვალდებულნი არიან გადასცენ იგი საპეკუნო სასამართლოს. (1—022—1).

სისხლის სამართლის სასამრთ. წარმ. წესდების 848,847,848, და 851. მუხლის თანახმალ, ტფილისის მე 4 უბნის მომრიგებელ მოსამართლის დადგენილების ეძებენ ივანე დიმეტრის ძე გომელაურს. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ეს, ვალდებულია გამოუცხადოს სასამართლოს დაწესებულებანი, რომელთ განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებულნი არიან გადასცენ იგი საპეკუნო სასამართლოს (1—022—1).

სისხლის სამართლის სასამართლოს წარ. წესდების 846,847,848 და 851. მუხლით თანახმათ თბილისის მე-4 უბნის მომრიგებელ მოსამართლის დადგენილებით ეძებენ მარიამ თევდორეს ასულს კოზლენკოს. ყველა, ვინც იცის სად სხოვრობს ეს, ვალდებულია გამოუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი მამული, ვალდებულნი არიან გადასცენ იგი საპეკუნო სასამართლს. (1—030—1).

სისხ. სამ. წარ. წეს, მე-846,847, და 851 მუხ. ძალით, ტფილისის ოლქის სასამ. დადგენილებით ეძებენ, მცხოვრებს სოფ. გლდანისა ტფილისის მაზრ. ალექსანდრე მგალობლიშვილს, რომელსაც ჰბრალდება დანაშაული გათვალისწინებული სასჯ. დებ. 1646 მუხ დამალულის ნიშნებია: 24 წლისა განსაკუთრებული ნიშნები არა აქვს. ყველა, ვინც იცის ალექსანდრე მგალობლიშვილის ბინადრობა, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს სად არის. ყველა ის დაწესებულებანი რომელთა უფლებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებულია დაუყონებლივ გადასცეს იგი საპეკუნო გამგეობას. (1—032—1).

სისხლ. სამ. წარ. წეს. მე-846,847, და 851 მუხ. ძალით, ტფილისის ოლქის სასამ. დადგენილებით, ეძებენ მცხოვრებს პატარა ცემისა იოსებ გაბაშვილს, რომელსაც ბრალდება დანაშაული გათვალისწინებული სასჯ. დებ. 1 ნაწ. 1465 მუხ. დაკარგულის ნიშნებია: 30 წლისა განსაკუთრებული ნიშნები არა აქვს: ყველა, ვინც იცის იოსებ გაბაშვილის ბინადრობა ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს სად არის, ყველა ის დაწესებულებანი რომელთა უფლებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებულია დაუყონებლივ გადასცეს იგი საპეკუნო გამგეობას. (1—031—4).

სისხ. სამ. წარ. წეს. მე-846, 847 და 851 მუხ. ძალით ტფილისის ოლქის სასამ. დადგენილებით, ეძებენ, მცხოვრებს სოფ. ნადოკრის თიანეთის მაზ. დავით არაბულისა რომელსაც ჰბრალდება დანაშაულობა გათვალისწინებული სასჯ. დებ. 1629, 1639 და 1632 მუხ. დამალულის ნიშნებია: 24 წლისა, ტანათ მაღალი, გამხდარი. ყველა, ვინც იცის მისი ბინადრობა ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს სად არის. ყველა ის დაწესებულებანი რომელთა უფლებაში აღმოჩნდება ქონება, ვალდებულია დაუყონებლივ გადასცეს იგი საპეკუნო გამგეობას. (1—032—1)

სისხ. სამ. წარ. წეს. მე-846, 847 და 851 მუხ. ძალით ტფილისის ოლქის სასამ. დადგენილებით, ეძებენ მცხოვრებთ დიდი ხაჩისა ბეგლარ ამირხანოვსა და სანდრო აგაინცის, რომელთაც ჰბრალდებათ დანაშაული გათვალისწინებული სას. ჯ. დებ. 1630, 1632 და 1633 მუხ. დამალულებს არა აქვთ განსაკუთრებული ნიშნები. ყველა, ვინც იცის მათი ბინადრობა ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს სად არის. ყველა ის დაწესებულებანი რომელთა უფლებაში აღმოჩნდა ქონება, ვალდებულია დაუყონებლივ გადასცეს იგი საპეკუნო გამგეობას. (1—032—1)

ქუთაისის ოლის უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 26 ენკენისთვეს 1919 წ. დამტკიცდა 31 ოქტომბერს 1917 წ. შესრულებული ნაყიდობა მიცემული ვასილი გიორგის ძე მაჩაბლის მიერ—სერგეი ალექსანდრეს ძე პრედეინზე და პავლე პეტრეს ძე პანკრატოვზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ბათუმში, ტურგენიევის ქუჩაზე და ირაკლიევის შუკაში შენობით ზომით 400 კ. ს. 10 000 მანეთად სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 800 მ. 52 კ. მთავარი ამონაწერი 200 მ. ღერბის ქაღალდზე მიცემულია 26 ენკენისთვეს 1919 წ. (1—188—1)

1918 წ. მარტის 31-ს ტფილის. ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. ალექსანდრე ვასილისძე პასტოვმა 1000 მ. მიჰყიდა მოქ. ივანე ოსიპისძე მამაჯანოვს მიწის ნაჭერი, ზომით 70 კვ. ს. მდებარე ქ. ტფილისის მე-8 უბ. ქალ. № 1065. გადახდილია: საქტო—3 მ, განცხ.-1 მ. 50 კ., გადასაწერი 60 კ., სიმტკიცის 40 მ. მთავარი ამონაწერი 5 მ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. (1—324—1)

1918 წ. მარტის 31-ს ტფილისის ოლქ. სასამ. უფროსმა ნატარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. არშაკ იაგორისძე ტერ-ოვანეზოვმა 8700 მან. მოჰყიდა აქვსენტი ივანეს ძე ჯანგველაძეს მიწის ნაჭერი, ზომით 2 ს. 2 არშ. (კვ.) მდებარე ქ. ტფილისის მე-4 უბ. სომხების ბაზარში, ქალაქ. №528 გადახდილია: საქტო—მ., განცხ.—1 მ. 50 კ., გადასაწერი—1 მ. 20 კ., სიმტკიცის 348 მ. მთავარი ამონაწერი 43 მ. 50 კ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. (1—324—1)

1918 წ. მაისის 30-ს ტფილ. ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ზაქარია აბელისძე ანდრონიკაშვილმა 294 მ. 4 კ. მიჰყიდა კახეთის რკ. გზმს საზოგადოებას მიწის ათი ნაჭ., აგარაკ ვედისიში 6 ნაჭ. I-ზომით-96 კვ. ს., 5—12 კვ ს. 6-56 კვ. ს., აგარაკ მიბლი-აში—4 ნაჭ. 1—1690 კვ. ს., 2—614 კვ. ს., 3—197 კვ ს. 4—1 დეს. 524 კვ. ს. მდებარე სიღნაღის., ტფილ. გუბ. გადახდილია საქტო—3 მ., განცხ.-1 მ. 50 კ., გადასაწ. 1 მ. 20 კ., სიმტკიც.—11 მ. 77 კ. მთავარი ამონაწერი 1 მ. 50 კ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. (1—325—1)

1918 მაისის 16-ს ტფილ. ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ტფილ. სასულიერო სემინარიამ 1250 მ. მიჰყიდა ანდრია გურეისძე სამარინს მიწის ნაჭერი № 66, ზომით 125 კვ. ს., ნდებარე ქ. ტფილისის მე—9 უბ. ქალაქ. № 1492. გადახდილია: საქტო—3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ., გადასაწერი 1 მ. 20 კ. სიმტკიცის 50 მ. მთავარი ამონაწერი 6 მ. 50 კ. ღირებულეაის საღერბო ქაღალდზე იცემილია (1—325—1

1919 წლის მაისის 19-ს ტფილისის უფროსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ალი უსეინ ალიბეგოღლი ალიევმა 20000 მან. მიჰყიდა ხალილ მუსტაფის ძე კელალბევს მიწის ნაჭერი ზომით 28 ს. 1½ არშ. მდებარე ქ. ტფილისში აბანოს და ბოტანიკურ ქ. ქალაქის №5 11. გადახდილია: სააქტო 3 მან. განცხადების 1 მ. 50 კ. გადასაწერი 60 კ. და სიმტკიცის 800 მან. მთავარი ამონაწერი 200 მან. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიღებულია (1—340—1)

1919 წლის მაისის 23-ს ტფილისის უფროსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ტფილისის სომხ. სასულიერო სემინ. მზრუნველობამ 1200 მ. მიჰყიდა აგამიზ სტეფანეს ძე აშულმანიანს მიწის ნაჭერი, ზომით 140 ოთხკ. ს. მდებარე ქ. ტფილისში მე-9 უბანში, ქალ. № 1567 გადახდილია: საქტო 3 მან., განცხადების 1 მ. 50 კ. გადასაწერი 1 მ. 20 კ. დ, სიმტკიცის 50 მ. 40 კ. მთავარი ამონაწერი 6 მ. 50 კ. წირებულ საღერბო ქაღალდზე მიღებულია. (1—340—1).

1919 წლის მაისის 13-ს ტფილისას უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც აგნერა გიორგის ასულ ამირაკიბმა 60000 მ. მიჰყიდა სერგი ივანესძე არუთინოვს 180 ოთხკ. ს. მდებარე ქ. ტფილისში მე-10 უბ. ქალაქის № 191 1897—181. გადახდილია: საქტო 3 მან. განცხადების 1 მ 50 კ., გადასაწერი 1 მან. 20 კ. და სიმტკიცის 2000 მან. მთავარი ამონაწერი 250 მან. ღირებულ საღერბო ქაღალდზე მიცემულია. (1—340—1)

1919 წლის მაისის 10-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ლიუდმილა ტიმოთესასულ ბრელომ 6000 მ. მიჰყიდა ბარბალე დავითის ასულ სისაკოსოვს მიწის ნაჭერი მდებარე ზომით 60 ოთხკ. ს. ქ. ტფილისში მე-6 უბანში, პუტილოვის ქ. ქალაქის № 651 გადახდილია: საქტო 3 მან. განცხადების 1 მ. 50 კ. გადასაწერი 60 კ. და სიმტკიცის 240 მ. მთავარი ამონაწერი 30 მან. ღირებულ. საღერბო ქაღალდზე მიცემულია. (1—340—1).

1919 წლის მაისის 17-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ილარიონ, იასონ, ნინო გიორგი და ნიკოლოზ, ოლღა საჩინოს ასულ გაბაშვილებმა მიჰყიდეს ნიკოლოზ ანდრიას ძე ყიფშიძეს მიწის ნაჭერი, ზომით 1 დეს. 500 ოთხკ. ს. მდებარე ქ. ტფილისში, I უბანში. გადახდილია: საქტო 3 მან. განცხადების 1 მ. 50 კ. გადასაწერი 60 კ. და სიმტკიცის 200 მ 6. მთავარი ამონაწერი 25 მან. ღირებულ საღერბო ქაღალდზე მიცემულია. (1—340—1).

1919 სლის მაისის 17-ს ტფილისის უფროსმა ნოტარაუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ილარიონ იასონ, ნინო, გიორგი და ნიკოლოზ ვასილის ძეთ და დარია ვასილის ასულ გაბაშვილმა 1000 მან. მიჰყიდეს გიორგი ალექსის ძე გელაძეს მიწის ნაჭერი ზომით 86 ოთხკ. ს. მდებარე ქ. ტფილისში I. უბანში გადახდილია: საქტო 3 მ. განცხადების 1 მ. 50 კ. გადასაწერი 60 კ. და სიმტკიცის 40 მ 6. მთავარი ამონაწერი 5 მან. ღირებულ საღერბო ქაღალდზე მიცემულია. (1—340—1)

სტამბა საქართველოს მთავრობისა

რედაქტორის მოვალ. ასრ. გრიგოლ მაჭავარიანი.

ტრისა და 464 მეტრის სიჩქარეს მიაღწია. წინანდელი რეკორდი იყო 275 კილომეტრი და 862 მეტრი საათში., ამას მიაღწია 7 თებერვალს სადი ლეკუენტმა.

ოტტოვიდან იუწყებიან: ვინაპეგის ყოფილი მოურავი ვოგი კანადის მთავრობამ სამარის კომისიის წევრად დანიშნა.

კოპლენტიდან მოსული ცნობით გენერალი რობერტინისათვის, რომელიც ინგლისის ჯარების მთავარ სარდალათ იყო რეინის მარცხენა ნაპირზე, საფრანგეთის რესპუბლიკის უმაღლეს კომისარს კობლენცში საპატივსაცემო სადილი გაუმართავს.

**ინგლისური ცნობები.**

მოსკოვიდან უმავთულო ტელეგრაფით გვატყობინებენ: ლატიშებმა პოლონეთისა, ფინეთისა და ლიტვასთან შეთანხმებით საბჭოთა რუსეთთან საზავო მოლაპარაკების დაწყება გადასწყვიტეს.

იოჰანისბერგში გაიფიცა 40,000 ადგილობრივი მუშა. ისინი მოითხოვენ ქირის გადიდებას სამი შლინგით მაინც. ოფიციალურად ამბობენ, რომ ეს გამოიწვევს ერთ მილიონ გირვანქის დამატებით ხარჯს, რასაც ოქროს მრეწველობა ვერ ანაზღაურებს.

ლონდონიდან იუწყებიან: კაბინეტმა განიხილა სურსათ სანოვაგის კანტროლის დიდი ფასები და ზედმეტი ხელფასის საკითხი და დარწმუნდა, რომ სწორი პოლიტიკის წარმოებით მრავალი უბედურება გადაწყდებაო. (დასაწყისი არ მიგვიღია)... გარეშე საქმეთა სამინისტროს შენობაში. სხდომამ განიხილა კალიკიაში სომხების ამოჟლეტის საკითხი. შუადღისას უმაღლეს საბჭოს საერთო სხდომა შესდგა პრემიერის ბინაზე იმ მიზნით, რომ ამ საქმის შესახებ ემსჯელათ. საბჭომ ამის განხილვას დღის სხდომისათვის გადასდო. ოფიციალური ცნობით საბჭოში მონაწილეობა მიუღია ლოიდ ჯორჯს, კერზონს, ჩერჩილს, კამბონს, ბერტელოს, ნიტის, შალოიას მარკიზ იმპერიალის, ვიკონტ ჩინსასა და აგრეთვე სამხედრო და სხვა ექსპერტებს. ამის შემდეგ განიხილეს ცნობა კილიკიაში სომხების დევნის შესახებ და მთავრობის მიხედვით შეიმუშავეს საჩქარო ზომები.

**მოსკოვი, საბჭოთა რესპუბლიკაში, 21 თებერვ.** მოსკოვში გაიხსნა სრულიად რუსეთის მშრომელ ყაზახთა პირველი ყრილობა, რომელსაც ყაზახთა ჯარების ყველა დელეგატი დაესწრო. დელეგატთა რიცხვში ქალებიც არიან. ყრილობა პოლუიანის თავმჯდომარეობით გაიხსნა. მისასალმებელი სიტყვით ს. ც. ა: კ. სახელით მათ ამხ. კალინინმა მიმართა. კალინინმა აღნიშნა ის გავრცელებული ყალბი ხმები, თითქოს საბჭოთა ძალა-უფლება სარწმუნოებას სდევნიდეს. ეხლა, მოსკოვში მყოფ ყაზახებს შეუძლიათ თავისი თვალით იხილონ და დარწმუნდენ ამ ჭორების უაზრობაში საბჭოთა მთავრობა არავის ხელს არ უშლის; ვისაც რა სურს, მას იწამებს. მოსკოვის საბჭოს სახელით ილაპარაკა კამენევმა.

**მოსკოვი, მარტის 1. სამხედრო ცნობა.** დამატებითი ცნობებით. ვოლდოზერის რაიონში ჩვენ წამოვიყვანეთ 500 ტყვე, ხელში ჩავიგდეთ 16 ტყვიისმფრქვეველი და 4 ზარბაზანი, მურმანის მიმართულებით ჩვენ ვარენკა ავიღეთ (პოვენცის ჩრდილოეთით 100 ვერ.) რეჟეცის მიმართ არტილერია მოქმედებს. როსტოვის რაიონში მტერს სამხრეთისაკენ ვსდევნით. ჯერ ჯეროვნად აღნიშნულია 4000 ტყვე. 3 ზარბაზანი, 52 ტყვიის მფრქვეველი და სხვა ქონება. სტავროპოლის რაიონში ჩვენ კავკაზსკაია ავიღეთ. 29 თებ. ბრძოლის შემდეგ ჩვენი ჯარი ქ. სტავროპოლში შევიდა. კრასნოვოდსკის მიმართ. მტრის გემი სად. კოილიუს უშენდა. ფერგანსკის მიმართულებით მზვერავები მოქმედებენ.

შრომის ბეგარის მთავარი კომიტეტის ცნობა. საერთო შრომის ბეგარის შემოღების ინსტრუქცია (ხალხთა ჯანმრთელობის დაცვის ნაწილი) 1 უწევს რა ანგარიშს გავრცელებულ სახადს და აგრეთვე დასვრილ ქალაქებს და სხვა დასახლებულ და ადგილებს სადაც მრავალი ნაგავი და სიბინძურეა, შრომის მთავარი კომიტეტი წინადადებას აძლევს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს შემოიღონ შრომის ბეგარა ამ სანიტარული უწესრიგობის თავიდან ასაცილებლად (აქ დასახლებულ ქალაქებში მაზრებში რკ. გზის სადგურებზე სოფლებში ქუჩები, მოედნები, გზები, სახლები) დაგროვებული ნაგავი და უსუფთაობა გატანილ უნდა იქნეს ისეთს ადგილს, სადაც მათ ჯანმრთელობის განყოფილება უჩვენებს. ყველა ზემო აღნიშნული დარგი, რომელიც შრომის საერთო ბეგარას ეხება, უნდა შეიქმნეს ყოველ რაიონში, (ქალაქში, სოფელში, გუბერნიაში და მაზრაში) ადგილობრივ სანიტარულ ზედამხედველობის ორგანოების ჩვენებით საგუბერნიო, სამაზრო და საქალაქო ჯანმრთელობის განყოფილებას ან და სათანადო სანიტარულ ზედამხედველობისაგენტების მიერ, ხელმძღვანელობა და საქმის ორგანიზაცია ევალება 3—5 კაცისაგან შემდგარ კომისიას. კომისიაში შედიან: ადგილობრივი შრომის კომიტეტის, ჯანმრთელობის განყოფილების და აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური განყოფილების წარმომადგენელი, რომელიც პასუხის მგებელნი იქნებიან სამუშაოთ გაწვეულ პირთა სისწორით სარგებლობაში მუშაობით. კომისიას თავისი აპარატი არა აქვს. თავის დადგენილებებს ატარებს ადმ. კომიტეტის შესაბამ განყოფილებაში. კომისიები მუშაობენ ადგილობრივ შრომის კომიტეტის კონტროლის ქვეშ და პერიოდულ ანგარიშებს აბარებენ მას. 3 ყველა გაწვეული პირი გამოყენებული უნდა იქნეს იმის და მიხედვით, თუ რა მუშაობა შეუძლია და რა ჯანმთელობისაა: ა, განსაკუთრებულ ძნელი მუშაობა უნდა დაევალოს მამაკაცებს. ბ, რადგან შესაძლებელია სახადი გადაედოთ მომუშავეთ, ამისათვის ამ საქმეზე უნდა გაიწვიონ ისინი, ვისაც გადატანილი აქვს სახადი. გ, ქალებს დაეკისრება უმეტეს ნაწილად მუშაობა სამეურნეო დარგში. მუშაობის განსაკუთრებული პირობების გამო, შრომის ბეგარა უნდა გატარდეს ადგილობრივ სანიტარულ და შრომის ინსპექციის კანტროლის ქვეშ.

# ბათუმის გარშემო

ზუგდიდის მაზრის ერობის განახლებული ყრილობა ულოცავს დამფუძნებელ კრებას საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას. ყრილობა ფიქრობს, რომ ეს ისტორიული აქტი შედეგია ქართველი ერის დემოკრატიის და მის ნებისყოფის გამომხატველ დამფუძნებელ კრების სწორი და მიზანშეწონილი პოლიტიკისა. ყრილობა ჩაუდგა რა განახლებული შემადგენლობით მაზრის ცხოვრებას სათავეში, შეეცდება გაალვიოს თვითმართველობის საქმიანობა ჩვენი რესპუბლიკის განსამტკიცებლად და ასაყვავებლად ამ საერთო კმაყოფილების დროს. გულის ტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის სასიცოცხლო ნაწილი ბათუმი შავ ბუროსშია გამოხვეული. დარწმუნებული ვართ, რომ ეს ჩვენგან განუყოფელი მხარე, ბათუმის ოლქი თქვენი ბრძნული პოლიტიკის წარმოების წყალობით მალე დაუბრუნდება საქართველოს, რისთვისაც თუ საჭირო იქნება არავითარი მსხვერპლის წინაშე არ შეჩერდებით.

ყრილობის პრეზიდიუმი **დ. თაფურია, ი. აფაქიძე, ი. წულაია, მ. ვეკუა.**

# ბ ა თ უ მ ი.

თებერვლის 16, სოფელ ბაგეში (მურღულის რაიონი) საზღვარზე გადმოსულა ჰანეთიდან 25 შეიარაღებული ჩეტნიკი ქიბარ-აღა ფეიზოღლის მეთაურობით. ეს ჩეტნიკები თავს დასხმიან სოფელ ბაგეს მცხოვრებს მევლუთ-აღა ყადი-ზადეს.

მცხოვრებლებს წინააღმდეგობა გაუწევიათ, შეიარაღებულან და გაუმართავთ ომი თავდამსხმელებთან. შეტაკების დროს მოუკლავთ ჩეტნიკების მეთაური ქიბარ-აღა ფეიზოღლი. ჩეტნიკებს მოუკლავთ ყადი-ზადეს ქალიშვილი.

მეორე დღეს მურღულის რაიონის მცხოვრებლებმა ამ შემთხვევის გამო ყრილობა გამართეს და ფიცით დაადგინეს, რომ ჰანებთან არ იქონიონ არავითარი კავშირი და ყველა ჩეტნიკი, რომელიც საზღვარზე გადმოვა, დაიჭირონ და მთავრობას გადასცენ. ამასთან ყრილობამ დაადგინა, რომ საზღვრების დასაცავად გაიჩინონ შეიარაღებული რაზმი. უკვე ას კაცამდე ჩაეწერა ამ რაზმში. ყრილობამ დაადგინა აგრეთვე, რომ ეცნობოს ზემოხსენებული გარემოება მთავრობას და ეთხოვოს ბათუმში მცხოვრებ ლაზებს, რათა იქონიონ მათ გავლენა ჰანებზე და ეცადონ ბოლო მოუღონ ჰანეთიდან ჩეტნიკების თავდასხმას მურღულელებზე. („სამ. საქ.“)

# საქართველოს ბეითალთა.

**ყ რ ი ლ ო ბ ა.**

(მეორე დღე).

საქართველოს ბეითალთა ყრილობა გრძელდება. 26 თებერვლის სხდომას დაესწრნენ წარმომადგენელნი: მიწათ მოქმედების სამინისტროსი ა. ტამამშევი, ჰლექთან მებრძოლ საზოგადოების წარმომადგენელი ექიმი ლამბაშიძე, რომელიც მხურვალე სიტყვით მიესალმა ყრილობას.

ყრილობაზე წმოსმენილ იქნა მოხსენებები საქონლის ჭირის შესახებ. შემდეგ ბეითლების: მასხარაშვილის, იაკუბოვიჩის, ფარცვანიძის ღ ბაუტიცის დიდი კამათი გამოიწვია საკითხმა ჭირის საწინააღმდეგო შრატის დასამზადებელ სადგურის დაარსების შესახებ. ერთი სადგურის დაარსება განზრახულია ტფილისში ხოლო მეორისა ქალაქ ზესტაფონში. საკითხს იცავდენ ფარცვანიძე და ცხადაძე. საბოლოო დასკვნა სადგურის აშენების შესახებ იქნება გამოტანილი განსაკუთრებული კომისიის მიერ, რომელშიაც შედიან მომხსენებლები, პრეზიდიუმის ორი წევრი, სომხეთის და აზერბეიჯანის წარმომადგენელნი და ორიც სხვა ყრილობის მიერ არჩეული.

შემდეგ სხდომაზე მოსმენილ იქნება მოხსენებები გალიცკის და ლაშხაურის საქონლის სხვა ფორმის ჭირის შესახებ (გარდა ჩუმისა) და პოპოვის მოხსენება ზუგდიდის მაზრაში საბეითლო დახმარების საქმის შესახებ.

(მესამე დღე).

შემდეგ მოხსენებები გააკეთეს საეროზო ვეტერინარიის შესახებ მეძმარიაშვილმა, ცინცაძემ და თაყაიშვილმა, რომელთა მოხსენებას მოჰყვა დიდი კამათი და აზრთა-გაცვლა გამოცვლა.

ყრილობის დღიური საკითხების მეშვიდე პუნქტი (საბეითლო დაწესებულებანი: საქალაქო, საერობო, სამოქალაქო, სამხედრო და მათი ურთიერთობა) აღმოჩნდა ყველაზე საკამათო.

დიდი კამათი გამოიწვია აგრეთვე საკითხმა რესპუბლიკის ბეითალთა ცენტრალურ მმართველობის დაარსების შესახებ.

ერობათა ბეითლების ჯგუფი სამხედრო ბეითალთა ჯგუფთან ერთად მოითხოვდა დაუყონებლივ შტატების შესახებ მოხსენებას და სხვა უფრო სასწრაფო საკითხების გარკვევას ხელს უშლიდა, მაგრამ საღამოს სხდომაზე მათ წაიღეს თავისი მოთხოვნილება უკანვე და წავიდენ კომპრომისებზე.

ყრილობას დარჩა კიდევ გასარკვევი პროგრამის ოთხი პუნქტი, რასაც დასჭირდება სამი დღე, შემდეგ დათვალიერებულ იქნება ტაბახმელაში არსებული ჭირის საწინააღმდეგო სადგური.

ყრილობა მოწვეულია ერობათა კომიტეტის ინიციატივით.

# სასურსათო განყოფილებაში

**ნახშირი**

ტფილისის თვითმართველობის სასურსათო განყოფილების საწყობებში მიღებულია დიდძალი ხის ნახშირი, რომელიც უკვე ეძლევათ მუშებს და მოსამსახურეებს, აგრეთვე მცხოვრებთ, თითო ფუთი ოჯახზე. ფასი ფუთზე 50 მან.

**რვეულები**

სასურსათო განყოფილების მიერ შეძენილია სხვა და სხვა ჯურის რვეულები. რვეულები გაიყიდება პარტიობით განყოფილებაში და ცალობით განყოფილების დუქნებში. ფასი პარტიობით 3 მან., ცალობით 3 მ. 50 კაპ.

**შაქარი, ჩაი, ბრინჯი**

თანახმათ შრომის სამინისტ. მუშათა მაგიდის დადგენილებისა, სასურსათო განყოფ. 1 მარტიდან დაურიგებს მუშებს და მოსამსახურეებს: 1. შაქარი 1 გირ. სულზედ, თითო გირვანქა 17 მან. 2. ჩაი 1/4 გირ. სულზედ, გირვანქა 100 მან. 3. ბრინჯი 2 გირ. სულზედ, თითო გირვანქა 15 მან., 4. წუმწუმა 2 კოლოფი სულზედ, თითო 1 მან. 50 კაპ. სურსათი დარიგდება: შაქარი იანვრის ტალონებით, და ნარჩენი სანოვაგე სათადარიგო ტალონებით № 2. სანოვაგე დაურიგდებათ პარტიებით მუშებს და მოსამსახურეებს სასურსათო განყოფილებიდან, ცალკე პირებს კი სასურსათო დუქნებიდან (სასურსათო კომიტეტები).

**თ ი ვ ა**

ტფილ. გამგეობის სასურსათო განყოფილება ჰყიდის მთავრობის და საზოგადო დაწესებულებებზე თივას საწყობიდან (თივის მოედანი) 30 მანეთად ფუთს, და ბზეს—შეშის და ცენტრალურ საწყობიდან 15 მანეთად ფუთს,—ფრანკო საწყობი.

# სხვა და სხვა.

წ. კ. საზოგადოებამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ გადასდოს 50,000 მანეთი დახმარება.

✦ წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ წინადადებით მიმართა ყველა ფილიალ გამგეობებს წარმოადგინონ დაუყონებლივ ანგარიში 1919 წლის მოქმედებისა.

✦ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დამსახურებული მასწავლებელი ქალი ეკატერინე ბარამოვის ასული, რომელიც ოც წელზე მეტი ასრულებდა მასწავლებლის მოვალეობას. განსვენებულის დაკრძალვისათვის განათლების სამინისტრომ გადასდო 2000 მანეთი, სრულიად საქართველოს მასწავლებელთა საბჭომ 1000 მ. ამავე მიზნისათვის შეგროვილ იქნა წმინდა ნინოს სასწავლებელში 490 მანეთი.

✦ მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი დეპეშა მიიღო ჯავიდან: „ოსეთის ყველა სოფლების, გარდა მთის ოსეთისა, წარმომადგენელთა ყრილობა რესპუბლიკის მთავრობას ულოცავს დამოუკიდებლობის აღიარების დიად აქტს; ყრილობას სწამს, რომ ეს ისტორიული ამბავი შედეგია იმ დემოკრატიულ წესწყობილებისა, რომელმაც რესპუბლიკის მცხოვრებნი გადაარჩინა ანარქიას და სამოქალაქო ომს. გაუმარჯოს ნ. ნ. ჟორდანიას და მის მთავრობას. თავმჯდომარე ჯიოევი.

✦ კვირას, 29 ოქტომბერს, შესდგა მეორე ქართულ კლუბის წევრთა წლიური საერთო კრება. ფეხზე ადგომით კრებამ პატივი სცა გორში მიწისძვრისაგან დახოცილთა ხსოვნას. მოისმინეს და უცვლელად დაამტკიცეს 1919 წ. მოქმედების ანგარიში. სარევიზიო კომისიის მოხსენება და 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. წარსულ წელს მამასახლისთა საბჭოს სხვა და სხვა საქველმოქმედო საზოგადოებათა სასარგებლოდ გადაუდვია 851,449 მან. შემდეგ კრებამ დაადგინა კლუბის მოგებიდან გადაიდოს 50,000 მან. მიწისძვრისაგან დაზარალებულთათვის და ამას გარდა იმავე მიზნით გადაიდოს პროცენტები კლუბის სხვა და სხვა შემოსავლებიდან სულ, დაახლოვებით 1/2 მილ. მან. კრებამ გადასწყვიტა შეიცვალოს კლუბის წესდების ზოგიერთი მუხლი და კლუბთან დაარსდეს საურთიერთო დამხმარე კასა და კოოპერატივი, რისთვისაც გადაიდო 100,000 მან. დანარჩენი საკითხების განხილვა და არჩევნები შემდეგი კვირისთვის გადაიდო.

# ისტორიული შენიშვნები

ერევანი, განჯა, შუშა და ამათი ადგილები როდის ჩამოსცილდა საქართველოს სამეფოს.

შაჰ ნადირის სიკვდილის შემდეგ ერევანი, შუშა და განჯა, ისევ ისე იმ წესით და პირობით დაუკავშირდა საქართველოს. სამეფოს როგორც იგი წინათ ემორჩილებოდა, ამ ადგილებში მცხოვრებმა სომხებმა, თათრებმა და სხვებმა მეფე თეიმურაზ მეორეს სთხოვეს მორჩილება, ამანაც შეისმინა მათი თხოვნა და მიიღო ყველა ეს ქვეყნები თავის მფარველობის ქვეშ.

მაინც ამ ქვეყნების დამორჩილება უსისხლოდ არ მოხდა: ქართველებს შემოება მაჭვად ხან ყაჯარი, მაგრამ ამან ვერაფერი ქმნა, თეიმურაზ მეფემ დაამარცხა იგი და განდევნა. თეიმურაზ მეფის სიკვდილის შემდეგ ყველა ეს ადგილები ჩაბარდა შემდეგ მეფეს, ანუ თეიმურაზის შვილს მეფე ერეკლე მეორეს.

მცირე ხანს შემდეგ ამ ადგილების გამო მეფე ერეკლეს აუტყდა აზატ ხანი, ამანც ვერაფერი ქმნა, მეფე ერეკლემ დაამარცხა იგი და განდევნა. აქაც ხანს მოუსპო 18 ათასი კაცი. ერეკლე მეფემ ყველა ეს ადგილები დიდათ გაამაგრა. ერეკლე მეფის სიკვდილის შემდეგ ეს ადგილები გადაეცა მეფე ერეკლეს შვილს გიორგი მეფეს.

რადგანაც გიორგი მეფე 1800 წ. 28 დეკემბერს გარდაიცვალა და ამის შემდეგ საქართველო რუსეთის იმპერიას დაუკავშირდა, ამიტომ ყველა ეს ადგილები საქართველოს სამეფოს მოსცილდა და სპარსეთის ბაბა ხანს შეუერთდა.

საქართველოს მეფობის დროს, ამ ადგილებში ისეთი იაფობა იყო, რომ ცხვარი აბაზათ იყიდებოდა, ცხენი, კამეჩი და ძროხა ხუთ აბაზათ, ისევე სხვა საქონელი, პირუტყვი, ფრინველი, ფართალი, სანოვაგე და ყველა ნაირი საქონელი.

**ზ. ჯ.**

# ს ე ნ ა ტ შ ი

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმ. განყოფილების საკრებულოს სხდომაში 1920 წ. 3 მარტს დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

(სხდომის გახსნა დილის 10 საათ.)

1) საჩივარი სურამის ქალაქის თავის ხიდირბეგიშვილის რწმუნებულის ნაფ. ვექ. ნინიძისა ტფ. ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების 1919 წ. 6 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც გაუქმებულია სურამის ქალაქის თავის ხიდირბეგიშვილის განკარგულება—მამალაძის ბინის რეკვიზიციის შესახებ—ქალაქის აფთიაქის საჭიროებისათვის.

2) საჩივარი ელისაბედ მამაცაშვილისა, სოფიო მზეიძის და მარიამ ნოლიაშვილის რწმუნებულის—დიმიტრი ნოლიაშვილის მიწათ მოქმედების სამინისტროს აგრარულ კომისიის 1919 წ. 10 ოქტომბრის დადგენილებაზე—ზუსტად მათი მამულის სოფ. [illegible] შესახებ.

3) საჩივარი ქალაქ ტფილისის გამგეობის (ურისკონსულტის ნაფ. ვეჭ. [illegible]) ტფილისის სასამართლოს სააღმინისტრაციო განყოფილების 1919 წ. 13 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც გაუქმებულია ქალაქ ტფილისის გამგეობის 1919 წ. 15 აგვისტოს დადგენილება ზლატოგორსკის ბინის რეკვიზიციის შესახებ.

4) საჩივარი მელქისეტ მეკისა ტფ. ოლქის სასამართლოს საადმ. განყოფილების 1919 წ. 22 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც დატოვებულ იქმნა უყურადღებოდ მომჩივან მელქისეტ მეკის საჩივარი ქალაქის გამგეობის (ტფილ.) 11—27 სექტემბრის 1919 წ. დადგენილებაზე—ბინის რეკვიზიციის შესახებ.

სასამართლოს მიწვეული საქართველოს სენატის სისხლის სამართლის დეპარტამენტში მოსასმენად დანიშნული საქმეები 1920 წ. მარტის 4 ქ. ტფილისში დილის 10 საათ.

საქმე № 12. მაგ. 1. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ ალექსანდრე [illegible] ტფ. სასამართლო პალატის განაჩენზე. ბრალდება 1180[1] მუხ. სისხ. დებ. აღნიშნულ ბოროტ-მოქმედებაზე.

საქმე № 14. მაგ. 1. საკასაციო პროტესტი ტფ. სასამართლო პალატის ბრალმდებლის ამხანაგის [illegible] ხსენებულ სასამართლოს განაჩენზე, შესახებ ბრალდებულ ზესარიონ გოგიაშვილის საქმისა. გოგიაშვილს ბრალდება 1085 სისხ. დებ. მუხ. აღნიშნული ბოროტ-მოქმედება.

საქმე № 55. მაგ. 1. საკასაციო საჩივარი ბრალდებულთა ალექსანდრე დოსაშიძისა და ალექსი თურქიაშვილისა ტფ. [illegible] სასამართლოს განაჩენზე. თურქიაშვილს და დოსაშიძეს ბრალდებათ დანაშაული, აღნიშნული 1 ნაწ. 17 მუხ. და 42 მუხ. 31 იანვრის 1919 წ. 380 მუხ. და 1 ნაწ. 42 მუხ. 31 იანვრის 1919 წ. კან.

საქმე № 21. მაგ. 2. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ ვლადიმირ [illegible] სოხუმის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის განაჩენზე.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ უმორჩილესად თქვენს პატივცემულ გაზეთში „გამოაცხადოთ შემდეგი: [illegible] სახალხო სთეატრო სახლის ასაშენებელ ფონდისათვის გამართულ საქველმოქმედო საღამოზე 8 იანვარს 1920 წელს [illegible] და სხვა სანახაობათა საღამო, რომლიდანაც დარჩა წმინდა შემოსავალი [illegible] 4030 მ. [illegible] შემოწირულებიდან არის კიდევ სია 1, [illegible] 300 მან., 2, [illegible] 100 მ. 3, [illegible] 100 მ. 4, [illegible] 100 მ. 5, [illegible] 50 მ. 6, [illegible] 50 მ. 7, [illegible] 50 მ. 8, [illegible] 50 მ. 9, [illegible] 50 მ. 10, [illegible] 50 მ. 11, [illegible] 50 მ. 12, [illegible] 50 მ. 13, [illegible] 20 მ. 14, [illegible] 10 მ. სულ—(5060 მან.) [illegible]

[illegible]

## სასამართლოში

მარტის 6 [illegible] 25 მარტ. [illegible]

[illegible]

---

[illegible] ფოში არსებულ მმართველობის შეცვლისათვის ბრძოლა, ქავთარაძეს ბრალდება სხვათა შორის მუშაობა სხვა სახელმწიფოებთან ომის გაჩაღებისა განსაკუთრებულ მიზნებისათვის. დაპატიმრებულთა ნაწილს ბრალდება აგრეთვე მკვლელობანი და თავდასხმები.

## განცხადებანი

ნინო მიხეილის ასული პუტილოვა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა რვა კლასის დამთავრების მოწმობა, მიღებული ქალთა მეორე გიმნაზიიდან. მოწმობა გაუქმებულად ჩაითვალება. 384 3—1

არჩილ გიორგის ძე ჩიქოვანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ქალაქის სასურსათო განყოფილებიდან მიღებული პურის და შაქრის სასურსათო ბარათები. ბარათები გაუქმებულად ჩაითვლება. 375 3—1

ვლადიმერ იოსების ძე მაქაცარია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მეტრიკული მოწმობა, მიღებული ახალსენაკის სოფ. თეკლათის ეკლესიიდან. და პასპორტი მიღებული სენაკის ერობიდან № 485. საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 285 3—1

სპირიდონ ყარამანის ძე ფარგიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიღებული მეფუტნეთა ბიუროდან № 54. მოწმობა გაუქმებულად ჩაითვლება. 389 3—1

ქალ. ტფილისის მე-5 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ გიორგი როსტომის ძის ერმიშევის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის ქონებაზე მე-X ტ. 1 ნაწ. 1241 მუხლში აღნიშნულ ვადაში. 0108 1—1

საოლქო სასამართლო სისხლის სამართლის განყოფილება ამით აცხადებს, რომ 4 ოქტომბერს 1907 წ. მის მიერ შეკრული სოფ. ბარის, რაჭის მაზრის, ქუთ. გუბ. მცხოვრებ ნიკოლოზ მარკოზის ძე გიორგობიანის უძრავი ქონება, რომელიც მდებარეობს ქალ. ტფილისში მე-8 უბანში, რკინის გზის ლიანდაგის გადაღმა, თანახმად 28 იანვრის ა. წ. დადგენილებისა მოხსნილ იქმნას. 070 1—1

სენაკის უბნის მომრიგებელი მოსამართლე, ქუთაისის გუბერნიისა იწვევს გარდაცვალებული მცხოვრები ს. ძონძირში თეკლათის საზოგადოების სენაკის მაზრის, ქუთაისის გუბერნიის, ივანე მარკოზის ძე შონიას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება შონიას ქონებაზე სამოქალაქო კანონის კრებულის მეათე ტომის პირველი ნაწილის 1241 მუხლში აღნიშნულ ვადაში. 0102 1—1

საჩხერის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ მცხოვრების სოფლის ჩიხაში, შორაპნის მაზრისა, ელათი ნიკოლოზის ასულის იაკობაშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ უფლება განაცხადონ იაკობაშვილის ქონებაზე 1241 მუხ. სამოქ. კან. ტ. X ნაწ. 1 აღნიშნულ ვადაში. 136 1—1

გრიგოლ ალექსანდრეს ძე ვართაპეტიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ახალციხის ქალაქის გამგეობიდან № 48. პასპორტი გაუქმებულათ ითვლება. 382 3—1

ლანჩხუთის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ექვსი თვის ვადაში გარდაცვალებული მცხ. ქალაქ ლანჩხუთში ივანე მამუკას ძე და ვლადიმერ ივანეს ძე ჟორდანიების მემკვიდრეებს, რათა გამოაცხადონ თავისუფლება ხსენებულ ჟორდანიების ქონებაზე. 0111 1—1

კონსტანტინე ხვიჩარიონის ძე კილასონია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა: 1) პასპორტი, ზუგდიდის მაზრის ყოფილ უფროსისაგან მიღებული 1912 წ. № 1. 2) პიროვნობის მოწმობა ზუგდიდის მილიციის უფროსისაგან მიღებული. 3) ნებართვა ბათუმში წასვლისა. 4) პარტიული ბილეთი. 5) საბუთები 75000 მან., რომელიც ჰქონდა ბეთ მიცემული ჯგირნაიაზე, კობახიძეზე და სხვა და სხვა პირებზე. 6) სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების ბილეთი და სხვ. ვინც დამიბრუნებს ზემო მოხსენებულ საბუთებს მიეცემა ათასი მანეთი ჯილდოთ. მისამართი: ბათუმი, რესტორანი საქართველო ჩინთა კიკალიშვილს, ან ზუგდიდი კოსტა კილასონიას. ტფილისი, ანდრეევის ქ. № 21 ა. ყანჩაველს. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა საბუთები ჩაითვალოს გაუქმებულათ. 368 3—1

დაკარგულია ტფილისის პირველი ლომბარდის კვიტანცია № 77904—200 მანეთისა. კვიტანცია გაუქმებულათ ჩაითვალოს. 244 3—3

პავლე ტიმოთეს ძე ყვინჩია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი და მეტრიკული მოწმობა აღებული ქ. ხონში, პასპორტი და მეტრიკა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 341 3—3

დაკარგულია რკ. გზ. ზედნადები ტფილის-საგირი № 40134/7 გაუქმებულათ ჩაითვალოს ყოფ. სააქციო საზოგ. ტაიროვი, ელიხანოვი და ტოლე. 346 3—3

გიორგი ალექსანდრეს ძე ჯოხაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი ერთი წლის ვადიანი, მიცემული ზვარეთის საზოგადოებიდან 27 ოქტომბერს 1919 წ. № 162, და ნამსახურობის ბილეთი, მიცემული ქუთ. მაზ. უფროსისგან, საბუთები ჩაითვალოს გაუქმებულათ. 345 3—3

ვლადიმერ ანთელავა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული მატრიკული. მატრიკული გაუქმებულათ ითვლება. 344 3—3

ქუთაისის სამაზრო უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულის, მცხოვრების ს. ფარცხანაყანევში ქუთაისის მაზრისა, ოქროპირ მათეს ძის მიქაბაძის, რათა მათ განაცხადონ თავის უფლება ექვსი თვის განმავლობაში, იმ ქონებაზე, რომელიც დარჩა ხსენებულ მიქაბაძეს, თანახმად 1241 მუხ. მეათე ტომისა, სამოქალაქო დებულებისა. 086 1—1

ნიკოლოზ გარსევანის ძე სხირტლაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა, მიღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან № 855. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 362 3—1

ალექსანდრე ზაქარიას ძე იოსების ძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიღებული ტფილისის სამხედრო უფროსის სამმართველოდან 24 თებ. № 792. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 367 3—1

ვასილ გრიგოლის ძე შიხიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ბაქოს საკონსულოდან მიღებული პასპორტი. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 370 3—1

ალი შამედ ოღლი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული სპარსეთის საკონსულოდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 371 3—1

ანტონ იაკობის ძე სიმონიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფილისის სასამართლო პალატასთან არსებულ სამიჯნო საკრებულოდან 14 აპრ. 1916 წ. № 9 პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 381 3—1

ისაკ მარდახის ძე მოშენაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მე-5 უბნის კომისარიატიდან პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს. 366 3—1

ნიკოლოზ თვაკიმეს ძე ტერ-აკოფოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი აღებული გორის ქალაქის მილიციის სამმართველოდან № 278. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს. 372 3—1

იპოლიტე ივანეს ძე ჯორბენაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი აღებული ჩიბათის საზ. კომისრის კანცელარიიდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 284 3—1

იაკობ ლაზარეს ძე ძამაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მე-8 უბნის კომისარიატიდან № 23,143 პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს 388 3—1

ალექსანდრე მიხეილის ძე გრიგორიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიცემული ენკიკეტის სასოფლო სამართველოდან 12 ნოემბერს 1918 წ. № 17191. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვლება. 383 3—1

მელიტონ ალექსის ძე გოგლიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა № 1070 და პასპორტი მიღებული სოფ. ზვარეთის საზოგადოებიდან. საბუთები გაუქმებულათ ითვლება. 360 3—2

ვლადიმერ ალექსის ძე ჩქარეული აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიღებული ქვემოხევის საზოგადოების კომისარიატიდან № 1874. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 350 3—2

დავით გიორგის ძე კობერიძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული ტფილის. სამხედრო აღრიცხვის უფროსის სამმართველოდან მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 351 3—2

ელენე ვასილის ასული გრიცუკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებულ ქ. ხოლმის საპოლიციო სამართველოდან პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 353 3—2

ოქრო ნიკოლოზის ძე კლიმიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ბერეზაშვილის გიმნაზიიდან მიღებული მოწმობა № 43. 23|X მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 355 3—1

მეიერ დანიელის ძე მანაშეროვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი და ვაჭრობის ნებართვა. აღნიშნული საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 354 3—1

სერგო მიხეილის ძე ტარუსინი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფილისის ქალ. გამგეობიდან, პასპორტი გაუქმებულათ ითვლება. 349 3—3

არჩილ მიხეილის ძე რამიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა და სახალხო გვარდიიდან მიღებული მოწმობა. საბუთები გაუქმებულათ ითვლება. 348 3—3

ვლადიმერ გიორგის ძე ჯაბადარი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ქალაქის სასურსათო საბჭოდან მიღებული სასურსათო ბარათი № 990 ბარათი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 357 3—3

მიხეილ სევასტის ძე მჭედლიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული საგარეჯოს თემიდან № 311. 26/XII 1919 წ. და მოწმობა მიღებული 21|XI19—წ. ქართ. მწერალთა კლუბი „ქიმირიონის“ დირექტორიდან. საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 361 3—3

არტემ სერგის ძე დაბაღოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ალექსანდროპოლის ქალაქის გამგეობიდან № 132. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 342 3—3

მაშედ ჰუსეინ ალახვერდოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 343 3—3

სუმბათ სარქისის ძე ოსეფოვ-სარქისოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფილისის პოლიცმეისტრის კანცელარიიდან № 8819. პასპორტი გაუქმებულათ ითვლება. 347 3—3

სარქის აბრამის ძე ვალადიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული ქ. ახალქალაქის სამმართველოდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 242 3—2

ტ. ტერ-გაზარიანცი აცხადებს, რომ მან დაკარგა დადებილ გადასახადის მოწმობა ზედ-ნადების დუბლიკატი გასაგზ. ბაქო-სანაინი № 106749—1919 წლ. და ვექილობა ტერ დანელიანცის და ლევონიანის. საბუთები გაუქმებულად ითვლება. 2—2

სახელოვნო-სალიტერატურო უპარტიო ჟურნალი

„თეატრი და ცხოვრება“

გამოდის ყოველ კვირა, დასურათებული. ფასი 10 მ. მისამართი: ტფილისი, ბაზრის ქ. № 20 რედ. გამომცემელი იოსებ იმედაშვილი 10—5